2009 წელი. 8-14 ოქტომბერი

ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№29 (463) გამოდის 1998 წლიდან

# უნიკალური ექსპონატები კუთვნილ ადგილს იკავებენ



გვერდი 4

*მწვავე თემა*

## გულგრილობის ანარეკლი

სამწუხაროდ, საგრძნობლად გაიზარდა მოზარდებს შორის აგრესია. გადავხედოთ კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 19. პუნქტი 9. „დაუშვებელია მოსწავლის ჩხრეკა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული გადაცდომა. მოსწავლის ჩხრეკა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სკოლის მიერ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა. დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა“.
ჩემი აზრით, ამ მუხლმა შეიძლება ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნება გამოიწვიოს. საერთოდ, შესიტყვება „დასაბუთებული ვარაუდი“ ცოტა ალოგიკურია, იმიტომ რომ თუ ვარაუდია, როგორ არის დასაბუთებული?

*(ლელა წიქარიშვილი, პირველი საჯარო სკოლის დირექტორი)*

გვერდი 6-7

# „დიალოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს გაზეთი **„დიალოგი“** კვლავაც თქვენი საჭიროებების გათვალისწინებით დაკომპლექტდება და სამ ენაზე (ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად )გამოვა გაზეთის ცხრა ნომერი (ოქტომბერ-ივნისი). მისი თითო ეგზემპლარი კვლავაც უსასყიდლოდ გავრცელდება საჯარო სკოლებსა და რესურსცენტრებში. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მათ „დიალოგის“ მხოლოდ პირველი ნომერი მიეწოდებათ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაზეთ „დიალოგის“ გარდა მკითხველს, ასევე, სთავაზობს გაზეთს, სახელწოდებით – **„დიალოგი +“**.

**სიახლე! გაზეთ „დიალოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!**
**2009-2010 სასწავლო წელს**
**გაზეთ „დიალოგი+“-ის ხელმოწერებს და**
**გავრცელებას ახორციელებს**
**გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია**

2009-2010 სასწავლო წელს გამოვა „დიალოგი +“ -ის 8 ნომერი (ნოემბერ-ივნისი). გაზეთის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე:

| | |
|---|---|
| **მიმღები** | **შპს „ახალი განათლება“** |
| **მიმღები ბანკი** | **სს „ბაზისბანკი“** |
| **ბანკის კოდი** | **220101956** |
| **ანგარიშის ნომერი** | **30236563** |
| **საიდენტიფიკაციო კოდი** | **202058735** |

**გადმორიცხვის დროს, აუცილებელია, გარკვევით მიეთითოს ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.**

სასურველია, ხელმოწერები განხორციელდეს 1 ნოემბრამდე, რათა ყველა ხელმომწერმა მიიღოს „დიალოგი+“-ის სრული კომპლექტი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა ***1 ლარი,*** კომპლექტის ანუ გამოწერის წლიური თანხა შეადგენს ***8 ლარს.***

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს** და **ორგანიზაციებს.**

**გაზეთის გამოწერის პროცედურები:**
- სკოლის დირექციამ ორგანიზება უნდა გაუწიოს გაზეთის გამოწერისთვის განაცხადებისა და თანხების მოგროვებას;
- სკოლის დირექციამ შეგროვებული თანხა უნდა ჩარიცხოს გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე. გადახდის ქვითარი და მოთხოვნების დოკუმენტი უნდა გადასცეს რესურსცენტრს;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა სკოლების მიერ წარმოდგენილი გადახდის ქვითრები და მოთხოვნების დოკუმენტები უნდა მიაწოდოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციას;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა ჩაიბაროს გაზეთები გამავრცელებლისგან და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან (მიღება-ჩაბარების აქტები რესურსცენტრებს მიეწოდება გაზეთთან ერთად, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი პირი, არა უგვიანეს 2 კვირისა, უნდა დაბრუნდეს „ახალი განათლების“ რედაქციაში);
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა მიაწოდოს სკოლებს გაზეთები მოთხოვნის დოკუმენტში მითითებული რაოდენობით.

**გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის მისამართია:**
**თბილისი, ტეტელაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283**
**ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru**

**გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:**

| | |
|---|---|
| მიმღები | შპს „ახალი განათლება“ |
| მიმღები ბანკი | სს „ბაზისბანკი“ |
| ბანკის კოდი | 220101956 |
| ანგარიშის ნომერი | 30236563 |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 202058735 |

**ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერი ბანკიდან.**

*პატივისცემით, ”დიალოგი + ”- ის რედაქცია*

C M Y K

IBSU

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## აცხადებს კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

**ბიზნესის მართვისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორი – 6 ვაკანსია

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**
სრული პროფესორი - 1 ვაკანსია
მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- ფოტოსურათი
- დიპლომის ასლი
- განცხადება
- პუბლიკაციების ქსეროასლი

საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 21 ოქტომბერი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 59 50 05 (131)
საკონტაქტო პირი: პრორექტორი, პროფ. დოქტ. ნათელა დოლონაძე

## ყურადღება!

## ხუთი–შვიდი წლის ბავშვებისთვის იხსნება გერმანული ენის კურსი „შინ Frau–სთან.“

პედაგოგი: **ხათუნა კოპალეიშვილი.**
პროგრამა: ზეპირმეტყველება, მათ შორის საბავშვო ლექსები, სიმღერები, გამოცანები, თამაშები და ა. შ (ე. წ. Tante-ს მეთოდით).

**გაკვეთილი ტარდება კვირაში ოთხჯერ**

**მისამართი: ალმაშენებლის გამზ. 176 (გერმანიის საელჩოს გვერდით).**

**მეცადინეობის ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.**

**დაინტერესებულ მშობლებს გთხოვთ დარეკოთ: 899 51 18 18**

## განცხადება

**დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ შატილის სკოლა-პანსიონს ესაჭიროება ინგლისური ენის მასწავლებელი. მინიმალური ხელფასია 550 ლარი. მასწავლებელი სკოლაში არსებულ პანსიონში უზრუნველყოფილი იქნება ბინით, კვებით, გათბობით. საკუთარი ჰესის წყალობით, სოფელს აქვს მუდმივი ელექტროენერგია. ნოემბრიდან მაისამდე, დიდთოვლობის გამო, დათვიჯვრის უღელტეხილი იკეტება, თუმცა, სავარაუდოდ, წლეულს, თვეში ერთხელ, ვერტმფრენი იფრენს. მასწავლებლები მისი მომსახურებით უფასოდ ისარგებლებენ. სოფელში მობილური ტელეფონი არ იჭერს, მაგრამ სკოლაში არის ინტერნეტი და მასწავლებლებს ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობა ექნებათ.**

მსურველები გამოგვეხმაურონ ნომერზე 899 957-454

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
National Curriculum & Assessment Centre

# რეკომენდაციები საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების XII კლასში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით

საქართველოს არაქართულენოვანი სკოლები (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული) მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებისას ხელმძღვანელობენ შესაბამისი ქვეყნების (სსომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) საგანმანათლებლო სტანდარტებითა (ეროვნული სასწავლო გეგმა) და სახელმძღვანელოებით. ვინაიდან ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში საშუალო განათლება თერთმეტწლიანია, შესაბამისად, საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების XII კლასი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სტანდარტისა და სახელმძღვანელოს გარეშე დარჩა. გთავაზობთ რჩევებს, რომლებიც დაეხმარება არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის XII კლასის მასწავლებლებს სასწავლო პროცესის წარმართვაში. დოკუმენტი ორი ნაწილისგან შედგება:

I. ზოგადი ხასიათის მითითებები საგნის სწავლების მიზანსა და კონკრეტული უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან დაკავშირებით;

II. შინაარსობრივი მითითებები სასწავლო მასალის ხასიათისა და სწავლების კონტექსტთან დაკავშირებით.

მომავალში არაქართულენოვანი სკოლების XII კლასის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებისთვის შეიქმნება როგორც საგნის სწავლების სტანდარტი, ისე სახელმძღვანელოები. მანამდე კი სასწავლო პროცესის წარსამართავად შესაძლებელი იქნება ამ მითითებების გამოყენება.

### I. ზოგადი მითითებები სწავლების მიზანსა და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით.

სწავლების ბოლო საფეხურზე მშობლიური ენის სწავლებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვედა საფეხურზე შეძენილი უნარების სრულყოფა და მათი გამოვლინება კომპლექსურ პიროვნულ აქტივობაში, ინტერაქტიურ მიმართებებში, საკომუნიკაციო ინიციატივის, დამოუკიდებელი კრიტიკული ანალიზისა და სიახლეთა პრეზენტაციის სურვილში.

რადგან ლიტერატურა არის არა მხოლოდ პიროვნების, არამედ მთლიანად ერის თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალება, სასურველია, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეს შევთავაზოთ ისეთი ტექსტები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს მშობლიური კულტურისა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში.

გარდა ამისა, სწავლების ბოლო საფეხურზე ლიტერატურის სწავლებისას, ასევე, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს შესწავლილი ტექსტების განხილვას მსოფლიო კულტურულ პროცესთან მიმართების კუთხით. XII კლასში მოსწავლემ უნდა შეისწავლოს, გააანალიზოს და შეადაროს სხვადასხვა პერიოდის შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით. ამ საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა პერიოდის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების საფუძველზე. მან უნდა იკვლიოს და გააანალიზოს მსგავსი ან ერთნაირი პრობლემა სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ტექსტებში, კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტში განვითარებულ კონფლიქტსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე.

XII კლასის ბოლოს მოსწავლეს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს ის უნარჩვევები, რომლებიც მას უმაღლეს სასწავლებელში წარმატებით სწავლის საშუალებას მისცემს, ანუ სწავლების ამ ეტაპზე აქცენტი კვლევითი უნარ-ჩვევების ფორმირებაზე კეთდება. შესაბამისად, ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვან ლიტერატურულ მასალასთან ერთად, სწავლების ამ ეტაპზე, შესაძლებელი და სასურველიცაა ლიტერატურული კრიტიკის, სამეცნიერო და კვლევითი ხასიათის ამსახველი მასალების შემოტანაც.

**ძირითადი მიზნები:**

1. მოსწავლემ უნდა შეძლოს მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ანალიზი, მათი შეფასება და, ასევე, იმის განსაზღვრა, თუ რა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებით აღწევს მწერალი/ავტორი მიზანს;
2. მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს ლიტერატურულ ტექსტში კულტურული და ისტორიული კონტექსტის გავლენის ამოკითხვის უნარი;
3. მოსწავლემ, მშობლიური ლიტერატურული პროცესისა და ლიტერატურული ტექსტების შესწავლის საფუძველზე, უნდა შეძლოს მათი განხილვა იმ მიდგომების, ცნებებისა და ტერმინების მეშვეობით, რომლებითაც დღეს მიმდინარეობს მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ანალიზი.

### II. შინაარსობრივი მითითებები სასწავლო მასალის ხასიათისა და სწავლების კონტექსტთან დაკავშირებით

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო მიზნების, მისაღწევი შედეგების, გამოსამუშავებელი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით გთავაზობთ მითითებებს, რომლებიც მასწავლებელს სასწავლო მასალის შერჩევასა და, საერთოდ, სწავლების შინაარსთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარება. აქვე დავძენთ, რომ შინაარსთან დაკავშირებული მითითებები სავალდებულო არაა, ისინი სარეკომენდაციო-საორიენტაციო ხასიათს ატარებენ. მასწავლებელი უფლებამოსილია, თავად აირჩიოს სასწავლო მასალა.

ვინაიდან XI კლასში მოსწავლეებმა დაასრულეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ავტორების, კონკრეტული ლინგვისტური თუ სალიტერატურო საკითხების შესწავლა, სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ცალკეულ ავტორზე, ლიტერატურულ მიმდინარეობაზე ან რომელიმე სალიტერატურო პრობლემატიკაზე, საკითხის/ავტორის ღრმა შესწავლაზე ორიენტირებული კურსის მომზადება. ამგვარი მიდგომის გამოყენება საშუალო განათლების ბოლო კლასში წარმატებითაა აპრობირებული მსოფლიოს არაერთ საგანმანათლებლო პრაქტიკაში.

ჩვენი მხრიდან, მაგალითისთვის გთავაზობთ, თუ როგორ გვესახება არაქართულენოვანი სკოლებისთვის XII კლასში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება. ვინაიდან სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სკოლის მოსწავლეებს უკვე გავლილი აქვთ მშობლიური ლიტერატურის ე.წ. „პანორამატული კურსი“ (მიმოხილვითი, ანუ გავლილი აქვთ ყველა მნიშვნელოვანი ავტორის შემოქმედება მშობლიური ლიტერატურიდან), XII კლასში მასწავლებელს შეუძლია, აირჩიოს ერთი რომელიმე მწერალი, რომლის სიღრმისეული შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისი ქვეყნის ლიტერატურისთვის. მასწავლებელი ცდილობს, კონკრეტული ავტორი უფრო ფართოდ, სიღრმისეულად შეასწავლოს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ამგვარი კომპლექსური შესწავლისთვის განსაკუთრებით კარგად გასაგები და ლიტერატურის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების უკეთ წარმომჩენი იქნება სწავლება, თუ მასწავლებელი შესასწავლი ავტორის შემოქმედებას დაუკავშირებს იმ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს, რომელშიც მოსწავლეებს უხდებათ ცხოვრება.

მასწავლებელს შეუძლია, შედარებით ხანგრძლივი სასწავლო პერიოდისთვის, შეარჩიოს მშობლიური ლიტერატურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლიტერატურული მიმდინარეობა ან რომელიმე ლიტერატურული პროცესი და სიღრმისეულად შეასწავლოს ასევე მსოფლიო ლიტერატურასთან, მათ შორის მოსწავლეებისთვის კარგად ნაცნობ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტთან, საქართველოსთან და ქართულ ლიტერატურასთან მიმართებაში. მაგალითად, სომხური საისტორიო მწერლობა – მსოფლიო საისტორიო ჟანრის მწერლობასთან, მათ შორის – ქართულთან პარალელებით; რუსული სიმბოლიზმი – ზოგადად სიმბოლიზმის კონტექსტში; კულტურათაშორისი დიალოგი ლიტერატურაში აზერბაიჯანულენოვანი კულტურული გარემოს ამსახველი პოპულარული რომანის – „ალი და ნინოს“ კონტექსტში და ა.შ.

ვიმეორებთ, რომ სასწავლო მასალის შერჩევასთან, ზოგადად შინაარსთან დაკავშირებული **მითითებები სავალდებულო არაა და მათ სარეკომენდაციო-საორიენტაციო ხასიათი აქვთ.**

ნებისმიერ შემთხვევაში, მასწავლებლის მიერ შერჩეული შინაარსი ორიენტირებული უნდა იყოს ზემოთ დასახელებული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის გააზრებისა და ანალიზის, მისი კომენტირების, კვლევის საშუალებას მისცემს მოსწავლეს, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელში წარმატებით სწავლის გარანტი იქნება.




# სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში
## სექტემბერი, 2009

## მთავარი სიახლეები

- საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, სოფელ წეროვანში, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილზე, ახლადაშენებული სკოლა გახსნა;
- ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებელთა ხელფასი კვლავ გაიზარდა;
- კომპიუტერით სარგებლობის „საერთაშორისო მართვის მოწმობა“ უკვე საქართველოშიც გაიცემა.

## ზოგადი განათლება

### სოფელ წეროვანში, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილზე, ახლადაშენებული სკოლა საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გახსნა

სკოლის მშენებლობა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო და 10 თვეში დასრულდა. სკოლაში 970 მოსწავლე სწავლობს, აქედან 75 პირველკლასელია. სამინისტრომ სკოლა ახალი მერხებით, 40 პერსონალური კომპიუტერული კლასით და უკაბელო ინტერნეტით აღჭურვა. სკოლის ყველა პირველკლასელს დაურიგდა სასკოლო წიგნები და ჩანთები. სკოლა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, TBC ბანკის-ის TBC ფონდმა დონორების თანამონაწილეობით ააშენა. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტმა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვა რუსეთის აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დროებით გადაადგილებული მოსწავლეები, რომელთაც წარჩინებით დაამთავრეს სკოლა 2009 წელს.

### ნიკა გვარამია სოფელ ნიკორწმინდაში რეაბილიტირებულ სკოლას ეწვია და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის პედაგოგებს შეხვდა

ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლას, პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, რაზეც 50 000-მდე ლარი დაიხარჯა. პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის ,,იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 2009 წელს 29 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 200 000 ლარი გამოიყო. ვიზიტის ფარგლებში ნიკა გვარამია რეგიონის 200-მდე პედაგოგს ამბროლაურის №1 საჯარო სკოლაში შეხვდა და მათ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეები გააცნო. ახალ სასწავლო წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ყველა პირველკლასელმა, ტრადიციულად, პრეზიდენტის საჩუქარი – ჩანთებისა და წიგნების სახით მიიღო.

### ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებელთა ხელფასები კვლავ გაიზარდა

1 სექტემბრიდან მასწავლებელთა ხელფასები, მასწავლებელთა სამუშაო სტაჟის, განათლების და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, გაიზარდა და საბაზო ხელფასმა 220 ლარიდან 245 ლარამდე მოიმატა. მატება მნიშვნელოვნად აისახა დამრიგებელთა ანაზღაურებაზეც. საბაზო ხელფასის გაზრდისა და სადამრიგებლო დანამატის გათვალისწინებით, სადამრიგებლო დანამატი 27 ლარიდან 63 ლარამდე გაიზარდა. დამრიგებელთა რაოდენობა მასწავლებელთა 50%-ზე მეტია, შესაბამისად, მასწავლებელთა დაახლოებით 50%-ს ხელფასი საერთო ჯამში 70 ლარით გაეზარდა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილების შედეგად, საბუნებისმეტყველო საგნების საათების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა ხელფასებიც. მთავრობის მიერ გაზრდილი იქნა სასკოლო ვაუჩერის ოდენობაც: პირველ 400 მოსწავლეზე – ზრდა 70 ლარით; 400-ზე ზემოთ – ზრდა 55 ლარით.

### საქართველოს მასშტაბით ახალი სამშენებლო სტანდარტებით 2009-2010 წლებში 22 ახალი სკოლის მშენებლობა დაიგეგმა

2009-2010 წლებში, ახალი სამშენებლო სტანდარტებით, ახალი სკოლების მშენებლობა იგეგმება: სამცხე-ჯავახეთში, გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში. სამინისტრომ ახალი სკოლების არქიტექტურული პროექტები კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზა"-ში გამოფინა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო 9 საჯარო სკოლის არქიტექტურული პროექტები: ახალი დიოკნისის (მარნეული), მელაანის (გურჯაანი), ნოქალაქევის (სენაკი), ფუთის (ზესტაფონი), შიბლიანის (საგარეჯო), ჩიბათის (ლანჩხუთი), მუხურის №2 (ტყიბული), აბანოს (ქარელი), ქვემო ნიქოზის (გორი) მშენებლობისთვის. ახალი სამშენებლო სტანდარტები და სასკოლო ინფრასტრუქტურა სასწავლო პროცესთან შესაბამისი, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული, უსაფრთხო გარემოზე ორიენტირებული იქნება. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ საპროექტო სამუშაოებზე ტენდერი ივნისში გამოაცხადა.

### „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში წარმატებული მოსწავლეების პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოება კვლავ გრძელდება

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში ნიკა გვარამიამ ქ. ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლისა და ქ. ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა. „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, პერსონალური კომპიუტერები სულ 3 191 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცემა; პროგრამის ბიუჯეტი 2 400 000 ლარია.

### გვახსოვდეს აფხაზეთი!

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირების დროს დაღუპულთა ხსოვნას საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლაში ღია გაკვეთილები და სხვადასხვა ღონისძიებები მიეძღვნა.

## პროფესიული განათლება

### საქართველოში სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური 2009-2012 წლების სტრატეგიის პრეზენტაცია გაიმართა

პროფესიული განათლება, რომელსაც ახალი ტიპის პროფესიული სწავლების ცენტრები იძლევიან, არის ის ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს დაეხმარება ისეთი პრობლემის გადაჭრაში, როგორიცაა: უმუშევრობა, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ეკონომიკური ზრდა და სხვ. სტრატეგიის ფარგლებში, აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო შეიქმნა. სახელობო განათლებისა და მომზადების სტრატეგია ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა და მის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განათლების სფეროს ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა.

### კომპიუტერით სარგებლობის „საერთაშორისო მართვის მოწმობა“ უკვე საქართველოშიც გაიცემა

თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრმა „კომპიუტერის მომხმარებელთა სერტიფიცირების ევროპული ფონდისგან“ (ECDL) ექსკლუზიური უფლება მოიპოვა, რის საფუძველზეც, ამიერიდან ლიცენზირებულად გასცემს საქართველოში კომპიუტერული სარგებლობის „მართვის მოწმობას“ (Skills Card-ს). ცენტრის ბაზაზე დაფუძნებული ECDL - ტესტირებისა და სერტიფიცირების ავტორიზებული ცენტრი ამიერკავკასიაში პირველია. ტესტირების გავლის საფუძველზე, კომპიუტერის მოხმარების ცოდნის სერტიფიკატი შუძლია აიღოს იმ ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელიც ფლობს საოფისე პროგრამებსა და ინტერნეტში მუშაობის უნარ-ჩვევებს.

## უმაღლესი განათლება

### ქ. ქუთაისში აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეაბილიტირებული კორპუსი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ გახსნა

ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია "საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა, რაზეც 700 000 ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაციის შედეგად უახლესი ტექნიკით აღიჭურვა საკონფერენციო აუდიტორია, ინტერნეტ-ლაბორატორია, ზოოლოგიური მუზეუმი, 2 სამკითხველო დარბაზი. კეთილმოეწყო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია. ამჟამად, უნივერსიტეტში 8 ფაკულტეტზე 6 000 სტუდენტი სწავლობს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ'ფაქსი: 438819 ელფოსტა:pr@mes.gov.ge

მემკვიდრეობა

# უნიკალური ექსპონატები კუთვნილ ადგილს იკავებენ

თბილისში, კარგარეთელის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ულამაზესი შენობა, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის წინ აშენდა, ძველ სასიყვარულო საიდუმლოებებთან ერთად, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას ინახავს – „სიყვარულის სასახლედ“ ცნობილ შენობაში 1989 წელს საქართველოს თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი შეასახლეს, 90-იან წლებამდე კი შენობა, თურმე, განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა, სტალინის განკარგულებით აქ ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი განუთავსებიათ, სადაც ბერიას ყრუ-მუნჯი და სწავლობდა. ბავშვთა სიმრავლის გამო, შენობა გაუფართოებიათ და ერთი იმდენი კიდევ მიუმატებიათ.

ეს შენობის შედარებით ახალი ისტორიაა იმ უნიკალურ ექსპონატებთან ერთად, რომელსაც მუზეუმი ინახავს. მის ფონდებში კი ძველი და თანამედროვე ქართული თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის ისტორიის ამსახველი უმდიდრესი მასალა ინახება, დაწყებული ვანში აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის თეატრალური ნიღბით და დამთავრებული XX საუკუნის ავანგარდული ხელოვნების ნიმუშებით. თუმცა, როგორც გითხარით, შენობას აქვს საინტერესო ისტორიაც – ლეგენდა, რომელიც უშუალოდ მის აშენებას უკავშირდება. შენობა 1895 წელს აუშენებია არქიტექტორ პაულ შტერნს. მას ეს დაკვეთა პრინც კონსტანტინ ოლდენბურგისაგან მიუღია. მისი ძმა, ალექსანდრე ოლდენბურგი, საქართველოში რკინიგზის ასაშენებლად მე-19 საუკუნეში ჩამოსულა. „სიყვარულის სასახლე“ კონსტანტინე ოლენბურგმა ქართველ სატრფოს, ტარიელ დადიანის მეუღლეს – აგრაფინა ჯაფარიძეს მიუძღვნა. მათი სიყვარულის ისტორია კი ქუთაისში დაწყებულა. 1882 წელს ქუთაისში ძმები ოლდენბურგების ვიზიტი ერთ მნიშვნელოვან მოვლენას დაემთხვა – მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს ხატავდა. როგორც ცნობილია, ილუსტრაციებისთვის სცენები საგანგებოდ იდგმებოდა. ქართულ საზოგადოებაზე შეყვარებული ძმები ამ სანახაობასაც დაესწრნენ. ნესტან-დარეჯანის როლს აგრაფინა ჯაფარიძე ასრულებდა, გრაფი ისე მოუნუსხავს „ნესტან-დარეჯანის“ სილამაზეს, რომ მისგან სიცოცხლის ბოლომდე თავი ვეღარ დაუხსნია. ათასი ჭორი გავრცელდა, თითქოს, გრაფმა საყვარელი ქალი თავადისაგან მილიონი ოქროს თუმნის ფასად გამოისყიდაო, თითქოს, გრაფს დიდი ხანი დასჭირდა დადიანი ცოლთან გაყრაზე დაეყოლიებინაო... თუმცა, ალბათ, სიმართლე არავინ იცის, იმ შენობის კედლების გარდა, რომელიც „სიყვარულის სასახლის“ სახელითაა შემორჩენილი და ამ საიდუმლო ლეგენდის ყველა სასიყვარულო შეხვედრას ინახავს. გრაფმა სატრფოსთვის განსაკუთრებული სასახლის ასაშენებლად მაშინდელი თბილისელი ვაჭრის მამული შეიძინა, საუკეთესო არქიტექტორი შეარჩია და აგრაფინას ეს განუმეორებელი სასახლე მიუძღვნა.

***

წლების განმავლობაში საკმაოდ მძიმე და სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა შენობა, თუმცა, ესეც უკვე წარსულია, რადგან ამჟამად მისი რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. მიუხედავად სარემონტო სამუშაოებისა, იქ ბინადადებული საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი აქტიურად აგრძელებს მუშაობას და ქართულ კულტურულ-ისტორიული ექსპონატებით მუზეუმის საცავების გამდიდრებას.

*„ბოლო 5 თვის განმავალობაში, რაც ჩვენ მოვედით მუზეუმში, ძალიან აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ კერძო პირებთან იმისთვის, რომ კოლექციები გადმოგვცენ. ამ პერიოდში კერძო კოლექციებიდან მართლაც ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი ექსპონატი გადმოგვეცა“* – გვითხრა მუზეუმის დირექტორმა **გიორგი კალანდიამ.**

მუზეუმს ბოლო შემოწირულობა, სამეგრელოს მთავართა უცნობი და უნიკალური ნივთებით, 30 სექტემბერს, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შთამომავალმა გაუკეთა. ქალბატონმა **ირინა ჟღენტმა** მუზეუმს გადასცა უნიკალური კოლექცია – ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები, რომელიც სამეგრელოს მთავრებსა და მუნჯი კინოს ცნობილ მსახიობს – ჩუტა ერისთავს ეკუთვნოდა: ნიკოლოზ დადიანის დღემდე უცნობი პორტრეტი, საფრანგეთის პრინცესა სალომე დადიანის წერილი ოქროს სამეფო დამღით, მხატვარ გიორგი ერისთავის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შესრულებული ნახატები, ჩუტა ერისთავის სპილოს ძვლის კალამი სამეფო გვირგვინითა და ინიციალებით, ჩუტა და გიორგი ერისთავების უნიკალური ფოტოები და სხვ.

**გიორგი კალანდია**: *„შენობა, სადაც ჩვენი მუზეუმია განთავსებული უნიკალურია და უკავშირდება დადიანების საგვარეულოს. აქ დადიანების თბილისის რეზიდენცია გახლდათ. სამეგრელოს მთავრები ამ შენობაში ცხოვრობდნენ, აქ ჩერდებოდნენ დროებით. ისტორიული წყაროების მიხედვით ვიცით, აქ ანდრია დადიანსაც უცხოვრია. აქვე ცხოვრების საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპი გაუტარებია აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანსაც, რომელიც პრინც ოლდენბურგის მეუღლე გახლდათ. სამწუხაროდ, შემდეგ ამ სასახლემ ისეთი გაჭირვება გამოიარა, რომ დადიანებისა და ამ სასახლეში მცხოვრები ისტორიული მემკვიდრეების აღარაფერი შემორჩა. ამდენად, ორმაგ და სამმაგ მნიშვნელობას იძენს ჩვენთვის გადმოცემული ნივთები. ბოლო კოლექცია გადმოგვცა საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ისა და ცნობილი მარიამ დადიანის შთამომავალმა, ქალბატონმა ირინა ჟღენტმა. კოლექცია ამ მემკვიდრეობის მცირე ნაწილია, მაგრამ ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი, იქიდან გამომდინარე, რომ ქართული საზოგადოებისათვის ის, ფაქტობრივად, უცნობი იყო, რადგანაც ოჯახში ინახებოდა. აქვე მინდა გითხრათ, რომ, დაახლოებით, 5 თვის განმავლობაში 2000-ზე მეტი ნივთი გვაქვს პირადი შემოწირულობით გადმოცემული. ბუნებრივია, ხაზს ვუსვამ დადიანების კულტურულ მემკვიდრეობას. გარდა ამისა, კერძო კოლექციებიდან მიღებული გვაქვს სუხიშვილების, მედეა ჯაფარიძის, ნატო ვაჩნაძის და ა.შ. კოლექციები. ამით იმის თქმა მინდა, რომ მე-18 საუკუნეში ევროპაში ცნობილი მუზეუმები სწორედ ხალხის მეშვეობით იქმნებოდა. სასიამოვნოა, რომ ჩვენი საზოგადოებაც ასეთი აქტიურია, ამისთვის ქალბატონ ირინას და ყველას, ვინც თავისი დიდი საგანძური გვანდო, დიდ მადლობას ვუხდით, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია – ქართული საზოგადოება ამ მხრივ ცოცხალია, ანუ სახელმწიფოსთვის და ქვეყნისთვის ბევრ რამეს არ ინანებს.*

*ახლა შევეცდები გიამბოთ თითოეული ნივთის ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის შესახებ.*

*ამ უნიკალური კოლექცის გაცნობა მინდა ყველაზე მნიშვნელოვანით დავიწყო, ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე უცნობი მინიატურები, რომელიც შესრულებულია ქართველი მხატვრის, გიორგი ერისთავის მიერ. ერთ-ერთი სცენა, სადაც შოთა რუსთაველი თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავს, მნიშვნელოვანია იმით, რომ ფერები ძალიან ხალასი და ცოცხალია, გარდა ამისა, გამოყენებულია მინიატურები ძველი ქართული ხელნაწერებიდან, კერძოდ, მეთორმეტე საუკუნის თამარ მეფის სახარებიდან, ვანის ოთხთავიდან – გაფორმება ზუსტად არის გადმოტანილი. სცენაში შოთა რუსთაველი ცოტა უცნაური გარეგნობისაა, მაგრამ ვფიქრობ, ამ ილუსტრაციას უნდა იცნობდეს ქართველი საზოგადოება. გიორგი ერისთავის ნახატებს შორისაა, ასევე, შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც შესრულებულია 1937 წელს ოქროს მელნით. ძვირფასია იმითაც, რომ მინიატურისთვის დაძველების სტილია გამოყენებული, თავსართი კი ზუსტი ასლით თამარ მეფის სახარებიდანაა გადმოტანილი. თავად მხატვარი იმითაა საყურადღებო, რომ ეპოქას არ გაურბის, ანუ, თუ თამარ მეფის ეპოქას ხატავს, იყენებს იმ პერიოდის ხელნაწერებს. როგორც ჩანს, განათლებული მხატვარი იყო, რადგან კარგად იცნობს ამ ეპოქას. მის ნახატებს შორისაა*



„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია, გიორგი ერისთავი



ჩუტა ერითავი, სცენა კინოფილმიდან

*ავტოპორტრეტი, ნახატი ქართულის და ევროპულის ნაზავია – ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მიქელანჯელოს სტილშია შესრულებული. ერთ-ერთ ნახატზე გამოსახულია კონსტანტინე ერისთავი – გიორგი ერისთავის მამა. ამ კოლექციის მარგალიტია საფრანგეთის პრინცესას, სალომე დადიანის წერილი, მისივე ხელმოწერით. ასეთი მემკვიდრეობა ძალიან ცოტა შემორჩა, ეს ის პერიოდია, როცა სამეგრელოს დედოფალი ჯერ კიდევ ცოცხალია, სალომე ახალდდანიშნულია საფრანგეთის პრინცზე – აშილ მიურატზე. სწორედ ამ პერიოდშია მიწერილი წერილი ქალბატონ ირინა ჟღენტის უშუალო წინაპრის, ბარბარე ჯაიანისადმი. წერილში პრინცესა სალომე უყვება ბარბარეს, თუ როგორ ისიამოვნა მასთან სტუმრობით, ამ შეხვედრის მოსაგონრად უგზავნის წერილს და ორ ოქროს ფუჟერს, რომელიც შენახულია ქალბატონ ირინას სახლში. წერილს თუ დააკვირდებით, შენიშნავთ სამეგრელოს სამთავროს გვირგვინს, ქვემოთ დაქარაგმებული ასოთი „მ“, რაც ნიშნავს მიურატს, შიგნით ჩაქარაგმებულია ასო „ს“, რაც ნიშნავს სალომეს. ამ თვალსაზრისით, ეს ძალიან ძვირფასი დოკუმენტია, რომლის მსგავსი ხელნაწერი ძალიან ცოტა მუზეუმის კოლექციაში თუ მოიპოვება, ამიტომაც, ეს ჩვენი მუზეუმისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შემოწირულობაა.*

*კიდევ რამდენიმე საყურადღებო ფოტო მინდა გაგაცნოთ, მათ შორის სილამაზით საქვეყნოდ განთქმული ქალბატონის, მერი შერვაშიძის ნაკლებად ცნობილი ფოტო. ალბათ, მერი შერვაშიძის ასეთი ფოტო არავის აქვს ნანახი. უკანა მხარეს ვკითხულობთ, რომ სურათზე არიან 1916 წელს სურამში შეკრებილი თავადაზნაურები: გურიის მარშალი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი, ჩუტა ერისთავი, პროკოფი შერვაშიძე და მისი მეუღლე ნინა მხეიძე, მერი შერვაშიძე, აფხაზეთის თავადები: ანჩაბაძეები, მარღანიები, მარშანიები, ნიჟარაძეები და ა.შ. იმდროინდელი საქართველოს ნაღები საზოგადოება.*

*გარდა ამისა, ამ კოლექციაში შედის ახალგაზრდა მეგობრების ფოტოსურათი: იმდროინდელი საქართველოს ჭკუა და გონება – დიმიტრი შევარდნაძე, კონსტანტინე ერისთავი, მიხეილ ჭიაურელი.*

*მთავარი, რაც ამ კოლექციაშია შესული, გახლავთ მუნჯი კინოს არქივი, რომლის ძირითადი ნაწილი შედგება მუნჯი კინოს გამორჩეული მსახიობის ჩუტა – ელენე ერისთავის ფოტოებისა და მისი კოლექციისაგან. რადგან კინომსახიობი იყო, მის კოლექციაში ვხვდებით ქართველ მსახიობთა ფოტოებს მემორიალური წარწერებით. მაგალითად, ვერიკო ანჯაფარიძის ფოტოს წარწერით: „ძვირფასო ჩუტა, გილოცავ ახალ წელს. სიცოცხლე და ჯანმრთელობა შენ და შენს ოჯახს. 1983 წელი. ვერიკო ანჯაფარიძე.“*

*კოლექციაში კიდევ ერთი უცნაური ფოტოა, რომელიც არასოდეს მინახავს და არც კი ვიცი, რამდენად არის ცნობილი საზოგადოებისათვის, ფოტო, რომელზეც გამოსახულია სტალინის შეხვედრა ქართველ მსახიობებთან. ეს სურათი გამოგზავნილია კაკო ძიძიგურისადმი ლედი ბაბილუას მიერ, წარწერით: „ჩემს მეგობარს, კაკოს სახსოვრად იოსებ ბესარიონის ძე სტალინთან გატარებული საღამოთი. 1937 წლის 14 იანვარი.“ ამ ისტორიულ კადრში სტალინის გვერდით დგანან: ძმები კავსაძეები, კუსა ვაშაძე, ვინმე გალდავა და შენგელია.*

*დამეთანხმებით, რომ კოლექცია ძალიან ძვირფასია, მნიშვნელოვანია როგორც ქართული კინოსთვის, ისე ზოგადად ხელოვნებისთვის და ჩვენი მუზეუმისთვის.*

*კერძო კოლექციებში დაცული უნიკალური განძი, თუ მუზეუმში არ მოხვდა, საბოლოოდ დაკარგვისთვისაა განწირული. ჩვენი მიზანიც სწორედ ამ კოლექციების მუზეუმში თავმოყრაა. ამიტომ ვთხოვთ ცნობილი ადამიანების შთამომავლებს, გადმოგვცენ მათი წინაპრების ცხოვრების ამსახველი მასალები, რათა სათანადოდ დავიცვათ და შევუნახოთ შთამომავლობას.*

*ამჟამად, მუზეუმში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულებისთანავე გაიხსნება რამდენიმე საგამოფენო დარბაზი, სადაც თავის კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებენ ძვირფასი კოლექციები. ეს საგანძური ქართველი ხალხის კუთვნილებაა და მოდით, ამ უფლებას მას ნუ წავართმევთ.“*

**ლალი ჯელაძე**



სიყვარულის სასახლე

სახელობო განათლება

# პროფესიული არჩევანისა და კარიერის დაგეგმვის წინაპირობა

**2008-2009 სასწავლო წლიდან სახელობო განათლების ზოგად განათლებასთან ინტეგრირების პროექტის პილოტირება 39 სკოლაში მიმდინარეობს. პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ სახელობო განათლება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი გახდა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში გავლილი სახელობო პროგრამა შესაძლებელია ჩაითვალოს განათლების შემდეგ ეტაპზე. საპილოტე სკოლებში სწავლება 18 სპეციალობაში მიმდინარეობს და 72 სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლება.**

**ჩვენი გაზეთის მკითხველს პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას ამ პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.**

მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით XI-XII კლასებში სახელობო განათლების პროექტის განხორციელება დაიწყო, 40 საპილოტე სკოლას მიეცა შანსი, მოეგოთ სახელობო სწავლების 10000-ლარიანი გრანტი. ბუნებრივია, ბედი ბევრმა სცადა, თუმცა გრანტი ყველამ ვერ მოიგო. არადა, როგორც 67-ე სკოლის მაგალითზე აღმოჩნდა, ეს საკმაოდ სოლიდური თანხა ყოფილა იმისათვის, რომ ერთი პედაგოგის 20 წლის წინანდელი ოცნება რეალობად ქცეულიყო. ეს გახლავთ ბატონი **ნიკო მუმლაძე**, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კერამიკაში, კერძოდ კი ჭიქურ მინანქარში. მას საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს მოზარდების თიხასთან ურთიერთობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ეს პროცესი, ზოგადად აღზრდის, და კერძოდ, პატრიოტული აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბატონმა ნიკომ ჩვენი გაზეთის მეშვეობით შეიტყო განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსისა და იმ სიახლის შესახებ, რომ საჯარო სკოლებს სახელობო პროფესიების სწავლების უფლება ეძლეოდათ. *„დრო ცოტა იყო. პროექტი კი გავაკეთეთ, მაგრამ ამ საქმეში გამოუცდელობის გამო სერიოზული დახმარება დაგვჭირდა. ქალბატონ* ***ანი ქიტიაშვილის, ნინო ლაბარტყავასა*** *და* ***ნატო გოგიაშვილის*** *თანადგომით 10 000-ლარიანი გრანტი მოვიგეთ. ეს ის თანხაა, რომლითაც მთელი ტექნოლოგიური ხაზის გამართვა შევძელით, შევიძინეთ ყველაფერი, რაც აუცილებელია კერამიკაში სამუშაოდ, თიხიდან დაწყებული, საღებავებით, (ჭიქური, ჭიქურზედა, ჭიქურქვედა), მინანქრის ტექნოლოგიისთვის საჭირო პიგმენტებით, სხვადასხვა ლითონებითა და გამოწვისათვის საჭირო ღუმელებით დამთავრებული. ისე დიდი იყო დაინტერესება, რომ აი, ამ პატარა კაბინეტის აღჭურვიდან 2-3 თვეში არათუ ჩვენი ბავშვების მზა ნაკეთობები ამშვენებდნენ თაროებსა და კედლებს, გამოფენაშიც კი მივიღეთ მონაწილეობა“* – გვითხრა **ნიკო მუმლაძემ**.

სკოლის კერამიკის კაბინეტი ადვილი მისაგნებია, პირველივე სართულის დერეფანი, ხელმარჯვნივ, რომლის ორივე კედელზე მოსწავლეთა ნამუშევრებია გამოფენილი, მხატვრული კერამიკა – მინანქრის კაბინეტით მთავრდება. ჩვენი მისვლისას ნიკო მასწავლებელი ორ მეთორმეტეკლასელ გოგონას მიეგება. კლასიდან იმ დღეს მხოლოდ ისინი მოვიდნენ გაკვეთილზე, რამდენიმე მათი კლასელი ტურიზმით უფრო დაინტერესდა და იქ გიდის პროფესიას ეუფლება (ეს სახელობო სწავლების პროგრამით მეორე საგანია ამ სკოლაში). **ნანა მზარელუა** და **სოფიკო ახვლედიანი**, მასწავლებლის მითითებების შემდეგ ანგელოზის გამოძერწვას შეუდგნენ. *„კერამიკოსობას არ ვაპირებ, მაგრამ რაკი შემოიტანეს სახელობო სწავლება და არჩევის უფლება გვქონდა, მე ეს საგანი ავირჩიე. ჯერ სულ რამდენიმე გაკვეთილი ჩაგვიტარდა. ჩვენს კლასში სხვებსაც აქვთ სურვილი კერამიკის გაკვეთილს დაესწრონ, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებენ, ზოგიც გიდის სპეციალობას ეუფლება“. „ეს საგანი X-XI კლასში რომ ესწავლებინათ, უფრო მეტი ბავშვი მოინდომებდა, დროც მეტი გვქონდა,* – საუბარში ერთვება სოფიკო, – *თუმცა მე ახლაც გულით ვაკეთებ, რასაც ნიკო მასწავლებელი გვასწავლის. დარწმუნებული ვარ, თუ მოვინდომებ რაღაც გამომივა იმიტომ, რომ უკვე თავადვე ვხვდები, ნიკო მასწავლებლის შენიშვნის გარეშეც, როცა რაღაცას ისე არ ვაკეთებ, როგორც საჭიროა“.*

კაბინეტის კარი იღება და ოთახში, ერთმანეთის მიყოლებით, დაბალკლასელები შემოდიან, თავიანთ ადგილებს იკავებენ, ზოგი რას ითხოვს მასწავლებლისგან და ზოგი – რას. ბატონი ნიკო თითოეული მათგანის თხოვნას აკმაყოფილებს, მითითებებს აძლევს, მასალებს ურიგებს და ისევ XII-კლასელებთან ინაცვლებს. *„რასაც ამ თაროებზე ხედავთ პირველკლასელების გაკეთებულია, დიდი ხალისითა და ინტერესით სწავლობენ კერამიკის ანა-ბანას.* ***გიორგი*** *და* ***ლიკა მიქელაძეები*** *და-ძმანი არიან, ორივენი გულისხმიერებით მოეკიდნენ საქმეს. უხარიათ, თავიანთ ნახელავს რომ ხედავენ გამოფენილს. ჩემი მიზანია, ქართული თიხის სურნელი ვაგრძნობინო თითოეულ მოსწავლეს, ამიტომ ვარჩევ მათთვის სხვადასხვა კუთხის ფერად თიხებს – თითქოს შრომის, ქსანის, ნორიოს, იყალთოს მიწას ეხება მათი თითები, როცა რაიმეს ძერწავენ, ამიტომ მგონია, რომ ეს მარტო კერამიკის კი არა, მშობლიური მიწის სიყვარულის გაკვეთილებიცაა. მართალია, საპილოტე XI-XII კლასებია, მაგრამ უფრო მეტად VIII-IX-კლასელები მოდიან, უმეტესობას მინანქარში მოსწონს მუშაობა, დაწყებითი კლასებიდანაც ბევრი მოდის. ასე რომ, ხალხური რეწვის ამ უძველესი დარგის მიმართ ინტერესი არ გაქრება, მთავარი ესაა“* – ამბობს ბატონი ნიკო.

* * *

შარშან ამ სკოლაში, სახელობო განათლების კუთხით, კიდევ ერთი სპეციალობის შესწავლას ჩაეყარა საფუძველი. გვესაუბრება დირექტორის მოადგილე, ბატონი **თემურ ლაბაძე**: *„67-ე სკოლა დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს. ჩემი კაბინეტიდან და სკოლის დერეფნიდან ულამაზესი პანორამა იშლება. არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ადამიანებმა, რომლებიც აქ ცხოვრობენ და წლების განმავლობაში უყურებენ ამდენ ისტორიულ ძეგლს, მათ შესახებ, უკეთეს შემთხვევაში, ცოტა რამ თუ იციან. როგორ შეიძლება, ახალგაზრდამ, რომელიც 12 წელს გაატარებს სკოლაში, უბნის ისტორია არ იცოდეს? სწორედ ამ მიზნით, შარშან სკოლაში ჩამოვაყალიბეთ ტურიზმის წრე. გარდა იმისა, რომ აქ ბავშვები უბნის ისტორიას შეისწავლიდნენ, გიდის პროფესიასაც უნდა დაუფლებოდნენ. წრე ფასიანი იყო, მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი მოსწავლე მოვიზიდეთ. კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის შესაბამის კათედრასთან ერთად შევიმუშავეთ პროგრამა, მოვიწვიეთ იქაური პროფესორები. ბავშვები ძალიან დიდი ინტერესით ესწრებოდნენ პროფესორ* ***ზეინაბ წულუკიძის*** *მეტყველების გაკვეთილებს; პროფესორების:* ***მალხაზ ღვინჯილიასა*** *და* ***ვალერიან გაფრინდაშვილის*** *ლექციების კურსს ექსკურსიების დაგეგმვის, მისი ესთეტიკის შესახებ. როცა ბავშვებმა შეისწავლეს, როგორ მზადდება ექსკურსია, მარშრუტებსაც თავად ამუშავებდნენ. საწარმოო პრაქტიკაც ჩვენივე სკოლის უმცროსკლასელებთან გაიარეს. უნდა გენახათ, მათი გაოცებული თვალები, როცა „გიდები“ (უფროსკლასელები) აბანოთუბნის, ნარიყალას ციხისა თუ ბოტანიკური ბაღის შესახებ უყვებოდნენ. ასევე იყო ანანურში ექსკურსიისას – მიკროფონი არ გაუშვიათ ხელიდან ჩვენს „გიდებს“, მაშინ აქ რამდენიმე სხვა სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ ექსკურსიაზე. ეს ამდენი ბავშვი, ჩვენებიც და ისინიც, სულგანაბულნი უსმენდნენ თანატოლების ახსნებს. ეს იმიტომ, რომ მათ ამ ექსკურსიის მოსამზადებლადაც და გასაძღოლადაც საკმაო შრომა გასწიეს; ნუსთ, საზღაურიც ერგებოდათ. გიდი რომ აგვეყვანა, თითოეულ ბავშვს 3-3 ლარი უნდა გადაეხადა. ჩვენ კი თითო ლარის გადახდა შევთავაზეთ მათი თანასკოლელი გიდებისთვის. ბავშვებიც სიამოვნებით დაგვეთანხმნენ. თქვენ უნდა გენახათ ამ ორი გოგონას სახეები, მათი გაოცება და აღფრთოვანება, შრომის საფასური რომ მიიღეს. აი, ასეთი წინაპირობა უძღოდა ჩვენთან სახელობო განათლების ფარგლებში გიდის სპეციალობის შემოტანას. როცა ბატონი ნიკო 10-ათასლარიანი გრანტის მოგებით აღფრთოვანებული შემოვიდა ჩემთან, ბევრი არ მიფიქრია, მივხვდი, რომ ჩვენი დაწყებული საქმე ამ პროგრამით უნდა გაგვეგრძელებინა“.*



ასეც მოხდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამით XI-XII კლასელები გიდის პროფესიას შეისწავლიან. პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელია (180 სთ.), XI კლასში – 108 სთ., XII კლასში – 72 სთ., მიზანი – გიდის ხელოვნების ძირითადი საკითხების შესწავლა. პროგრამის დასრულების შემდეგ კი კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს: ტურიზმის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ბიზნესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, რესურსული პოტენციალი (ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივ-რეკრეაციული, ადამიანური და ა.შ.), საქართველოს ისტორია, ხელოვნებისა და კულტურის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, თანამედროვე ტენდენციები; საქმიანი ურთიერთობისა და მეტყველების კულტურის გამოყენებითი ასპექტები; ტურისტული საქმიანობის სპეციფიკა და სხვ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კურსის გავლის შემდეგ ახალგაზრდას გამომუშავდება უნარები, რომელიც აუცილებლად წაადგება, არა მარტო გიდად მოღვაწეობის შემთხვევაში, არამედ ზოგადად მომავალ საქმიანობაში. ეს არის: დროის ორგანიზების, ინფორმაციის მიღების და ანალიზის, კომპიუტერთან მუშაობის (ოპერაციული სისტემა, ტექსტური, გრაფიკული და ცხრილური ფორმით ინფორმაციის შექმნა და რედაქტირება, ელფოსტით სარგებლობა, ბრაუზერის გამოყენება სხვ.); მშობლიურ და ინგლისურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ჯგუფური და ავტონომიური მუშაობის, აგრეთვე ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარ-ჩვევები და სხვ.

პროფესიის სრულფასოვნად დაუფლებისთვის აუცილებელია პრაქტიკის გავლა, რომელიც ორეტაპიანია. პირველი ეტაპი (8 სთ. ) გულისხმობს ვირტუალური ექსკურსიის (ტურისტული ჯგუფის მიღება-გასტუმრება) მომზადება-ჩატარებას, რომელიც გაიმართება საკლასო ოთახში ტრადიციული „საქმიანი თამაშის“ მეთოდიკის გამოყენებით.

მეორე ეტაპია (8 სთ.) სრულფასოვანი საწარმოო პრაქტიკა – ერთი სრული სამუშაო დღე მოქმედ ტურისტულ კომპანიაში.

პროგრამის დასრულების შემდეგ, ორივე შემთხვევაში, ჩატარდება გამოცდა და კურსდამთავრებული სკოლის ბლანკზე დაბეჭდილ მოწმობას მიიღებს, თუმცა ეს არ იქნება მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში განმარტავენ, რომ კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღება შესაძლებელია სახელობო განათლების ფარგლებში შეძენილი პროფესიის მქონე პროფესიული განათლების ცენტრში გამოცდის ჩაბარების შემდეგ. ეს კურსდამთავრებულის სურვილზეა დამოკიდებული.

საჯარო სკოლებში სახელობო განათლების შემოღებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ, ბევრი მიზეზის გამო, ეს არ იქნება შედეგის მომტანი პროექტი. სხვა აზრი აქვთ 67-ე სკოლაში. პროექტის კოორდინატორები: **ნიკო მუმლაძე** და **ირმა ქენქაძე** (კერამიკისა და ისტორიის პედაგოგები) მიიჩნევენ, რომ თუკი საპილოტე სკოლები სერიოზულად მიუდგებიან სახელობო განათლების ზოგად განათლებასთან ინტეგრირების საკითხს, შესაძლოა პროექტი ახალგაზრდების დასაქმების ერთ-ერთ საშუალებადაც იქცეს. მით უმეტეს, თუ შესაბამის პროფესიულ ცენტრებში გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს მიიღებენ.



***ანა ფირცხალაიშვილი***

მწვავე თემა

# გულგრილობის ანარეკლი

საქართველოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა პრობლემებმა განათლების სისტემაზეც მოახდინა მკვეთრი გავლენა – იმატა არასრულწლოვანთა დანაშაულებებმა.

16 სექტემბერს, „ლონდონის ბაღში", 13-15 წლის გოგონებს შორის მომხდარი ინციდენტი იმ მწარე რეალობის კიდევ ერთი გამოვლინებაა, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში მოიკიდა ფეხი – არასრულწლოვანთა ძალადობა და, რაც ყველაზე სამწუხარო და საგანგაშოა – ძალადობა გოგონებს შორის!

საბედნიეროდ, ინციდენტის დროს 13 წლის გოგონასათვის დანით მიყენებული ჭრილობები სასიკვდილო არ აღმოჩნდა – დაზარალებული გადარჩა, ბრალდებული კი, გირაოს (10000 ლარი) სანაცვლოდ გათავისუფლდა. საქმეს ძველი თბილისის პროკურატურა იძიებს.

გადავწყვიტეთ, საქმის ვითარება უფრო დეტალურად შეგვესწავლა. პირველ რიგში, იმ სკოლებს მივაკითხეთ, სადაც არასრულწლოვანები სწავლობენ. გვინდოდა, საგაზეთო სტატიაში ორივე მხარე (ბრალდებული და დაზარალებული) თანაბრად წარმოგვეჩინა. მოვიძიეთ მასალა ინციდენტის მონაწილე გოგონების შესახებ, ვესაუბრეთ მათ პედაგოგებს, სკოლის დირექტორებს, თანაკლასელებს. დაზარალებულს – 13 წლის მ-ს დადებითად ახასიათებენ, რასაც ვერ ვიტყვით ბრალდებულისა და მისი თანმხლები მეგობრების შესახებ.

ჩვენთან საუბარი არ ისურვეს არც ბრალდებულის და არც ინციდენტში მონაწილე მეგობრების მშობლებმა. სატელეფონო საუბარში ერთ-ერთის დედამ აგრესიული ტონით გვითხრა: „მე ჩემი პრობლემები მაქვს, ნუ მირეკავთ, არ მაინტერესებს, რა და როგორ მოხდა და არც ის, მონაწილეობდა თუ არა ჩემი შვილი".

თუ ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ბრალდებული, მისი მეგობრები და მშობლებიც იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, ვისთვისაც დანაშაულის ჩადენა არა თუ სირცხვილი, პირიქით – საამაყოც კია.

ცხადია, დამნაშავე უნდა დაისაჯოს. მიმდინარეობს გამოძიება და ჯერ არ ვიცით, რამდენად სამართლიანი იქნება განაჩენი. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში, უნდა იზიარებდეს თუ არა დანაშაულის გარკვეულ სიმძიმეს დამნაშავის მშობელი?

და კიდევ ერთი – როცა საქმე მოზარდის ბედს ეხება, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რამდენად უწყობს ხელს სასჯელაღსრულების დაწესებულება დამნაშავის გამოსწორებას.

***

დაზარალებული **მ-ი**, 13 წლის, 63-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, რატომ ჰქონდა ნ-ას ჩემ მიმართ ასეთი აგრესია. სულ ორჯერ მყავდა ნანახი. იმ დღეს, შემთხვევით, „ლონდონის ბაღში" ვნახე. ჩემთან თავის ორ მეგობარ გოგონასთან ერთად მოვიდა. ერთ-ერთი მათგანი ჩემთვის სრულიად უცნობი იყო, დამიწყეს გინება, კამათი ჩხუბში გადაიზარდა, უცნობმა გოგონამ სილა გამაწნა, მეც გავარტყი. ამ დროს ნ-ამ დანა გაშალა და დამარტყა. შესაძლოა, მისი ჩემდამი ასეთი აგრესია გამოწვეულია იმით, რომ ვინც მას უყვარდა, იმ ბიჭს მე მოვეწონე. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ."*

**დაზარალებულის დედა:** *„იმ დღეს მ-ი, მეგობრებთან ერთად, მთაწმინდის პარკში იყო. იქიდან „ლონდონის ბაღში" წავიდნენ. ჩემს შვილთან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, ამიტომ მისი ყველა ნაბიჯი ვიცი. ჩემი შვილი და ნ-ა ერთმანეთს არ იცნობდნენ, მხოლოდ ორჯერ ჰყავდათ ერთმანეთი ნანახი. პირველ შეხვედრაზე ნ-ა ჩემს შვილს დამუქრებია. ღმერთის წყალობით, შვილი გადამირჩა. საოცარია, რომ ბრალდებულის მხრიდან, ამ ხნის განმავლობაში, არავინ შეგვხმიანებია, არავის უკითხავს მ-ის ამბავი. რამდენიმე ადგილზე მიყენებული დაზიანებები განზრახ მკვლელობაზე მეტყველებს. როგორც გავიგე, ბრალდებულის მეგობრებს უთქვამთ – ვამაყობთ, რომ ასეთი მეგობარი გვყავსო....*

*ბრალდებულს კარგად არავინ ახასიათებს. ამბობენ ბევრი სკოლა აქვს გამოცვლილიო... ეს კარგზე არ მეტყველებს. მოვითხოვ, დამნაშავე კანონის ფარგლებში დაისაჯოს, რადგან ჩემ მდგომარეობაში სხვა დედებიც არ აღმოჩნდნენ."*

**კობა წიკლაური,** თსუ კლინიკის ქირურგი: *„16 სექტემბერს პაციენტი მ-ი შემოიყვანეს, რომელსაც თან ახლდა თანატოლი გოგონა. მდგომარეობა სტაბილური გახლდათ. მას სხეულზე რამდენიმე ჭრილობა აღენიშნებოდა – მუცლის ღრუში, ჭიპთან ახლოს, მეორე – ბარძაყის წინა ზედაპირზე, ასევე, ჭრილობა მარჯვენა მტევანზე და ნათხემის მიდამოში. სხეულზე აღენიშნებოდა ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობები, თუ რა საგნით იყო მიყენებული ამას ექსპერტიზა დაადგენს, თუმცა, პაციენტის გადმოცემით, მას დანით მიაყენეს დაზიანებები. პაციენტს ჩაუტარდა პირველადი დახმარება და დაუმუშავდა ჭრილობები. რადგან მისი ყველა სასიცოცხლო მაჩვენებელი სტაბილური იყო და დადგინდა, რომ ტრანსპორტირება არ გამოიწვევდა გართულებებს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი გადაყვანა იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში. კატასტროფის მედიცინის ბრიგადამ პაციენტი, შემოყვანიდან 15 წუთში, ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა".*

ჩვენთან საუბრისას ბატონმა კობამ ისიც აღნიშნა, რომ არასრულწლოვან გოგონებს შორის დაპირისპირება იშვიათი არ არის. მათთან, საავადმყოფოში, არაერთხელ მიუყვანიათ მსგავსი დაპირისპირების მსხვერპლი. ისეთი შემთხვევაც კი გაიხსენა, როცა მოზარდმა გოგონამ თანატოლს სახე დანით დაუსერა მხოლოდ იმ მიზეზით, რატომ ხარ ჩემზე ლამაზიო.

***

**ლუდმილა ფერაძე**, 63-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„დაზარალებული ჩვენი სკოლის მოსწავლეა. იგი ძალიან მოწესრიგებული, მშვიდი და პასუხისმგებლიანი ბავშვია. ოთხი წელია, მისი კლასის დამრიგებელი და ბიოლოგიის მასწავლებელი ვარ და უმნიშვნელო შენიშვნაც კი არ მიმიცია. მომხდარით გაკვირვებული ვარ. 16 სექტემბერს, მ-ი სკოლაში არ მოსულა. სკოლის წესებიდან გამომდინარე, მე, როგორც კლასის დამრიგებელი, ვალდებული ვარ, მოსწავლის არგამოცხადების შესახებ ვაცნობო მშობელს. როცა მ-ი მეორე დღესაც არ გამოცხადდა, გასარკვევად სახლში დავრეკე. დაზარალებულის მამამ მიამბო მომხდარის შესახებ."*

**ქეთი**, მ-ის თანაკლასელი: *„მ-ი ძალიან კარგი გოგოა. თანაკლასელებს განსაკუთრებულად გვიყვარს. სკოლას არ აცდენს. მეგობრული და კონტაქტურია. მომხდარის შესახებ რომ გავიგე, ძალიან გამიკვირდა, რადგან არასდროს უთქვამს, თუ ვინმესთან რაიმე პრობლემა ჰქონდა."*

**დავითი**, მ-ის თანაკლასელი: *„მ-ი ჩემი ბავშვობის მეგობარია. მას არასოდეს არავისთან კონფლიქტი არ ჰქონია, არასოდეს შემინიშნავს იმ გოგონასთან ერთად, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა. ამ ფაქტის შესახებ მეტს ვერაფერს გეტყვით."*

***

**თამარ ჭაბაშვილი**, 55-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„მოსწავლე ნ-ა სკოლაში ახალი გადმოსულია, მან საბუთები 2008 წლის 15.09-ში 68-ე საჯარო სკოლიდან გადმოიტანა. გაკვეთილების გაცდენა არ უყვარდა, რასაც სასკოლო ჟურნალიც ადასტურებს* (წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რადგან სკოლაში მეორედ სტუმრობისას გვითხრა, რომ გოგონამ, არასაპატიო გაცდენების გამო, კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდა მათემატიკაში ექსტერნის წესით ჩააბარა. ავტ.). *თანაკლასელებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, რაიმე ინციდენტს სკოლაში ადგილი არ ჰქონია. კლასში ბევრთან არ მეგობრობდა, რადგან მას თავისი ძველი მეგობრები ჰყავდა. მისი აგრესიის შესახებ არაფერი მსმენია. როგორც დედისგან ვიცი, ნ-ა ასთმით არის დაავადებული. მომხდარი დანაშაულიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბრალდებულის დედას შევხვდი. მისგან შევიტყვე, რომ ნ-ა გირაოთია გამოშვებული, მისივე ინფორმაციით ნ-ა სკოლის შეცვლასაც აპირებს.*

*დანაშაული სკოლის გარეთ მოხდა. ამ შემთხვევაში სკოლის პასუხისმგებლობა ნაკლებია, თუმცა, ფაქტი ძალიან სამწუხაროა."*

55-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ნ-ას თანაკლასელებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ მას კარგად არ იცნობდნენ, ვინაიდან იგი ხშირად აცდენდა სკოლას. *„ამავე დროს, ნ-ას საკმაოდ რთული ხასიათი ჰქონდა, ამიტომ სურვილი არ გაგვჩენია მას დავახლოვებოდით".*

**შორენა ახალაია,** 55-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„სამწუხაროდ, არ მაქვს უფლება მომხდარის შესახებ ადვოკატის გარეშე ვისაუბრო. დანაშაულის დღეს ნ-ა სკოლაში იმყოფებოდა. გაკვეთილების შემდეგ, დედასთან ერთად, მშობელთა კრებასაც დაესწრო. როგორც ვიცი, დანაშაული „ლონდონის ბაღში" საღამოს მოხდა. ნ-ა ჩვენს სკოლაში ახალი გადმოსულია, ამიტომ მის შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით. იგი ჩვეულებრივი, რიგითი მოსწავლეა, ნაკლებად აქტიური. საბაზო სკოლა 6 ქულაზე აქვს დამთავრებული."*

**ნინო ლორთქიფანიძე,** 55-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი: *„იმ კლასთან, რომელშიც ნ-ა სწავლობდა, საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მაქვს, სამწუხაროდ, გოგონას არ ვიცნობდი, მარტივი მიზეზის გამო – ნ-ი სკოლაში ახალი გადმოსული იყო. ეს შემზარავი ამბავი ტელევიზიით შევიტყვე.*

*მეოთხე წელია, სკოლაში ვმუშაობ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სკოლა საკმაოდ დიდ კონტინგენტიანია, ბავშვებთან მუშაობა არ მიჭირს, ცუდს და უარყოფითს მათში არ ვეძებ. სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების მიერ რთულ ბავშვებად წოდებულებთანაც შევძელი მეგობრული ურთიერთობის დამყარება, ვაგრძნობინე, რომ ისინიც საზოგადოების ისეთივე სრულუფლებიანი წევრები არიან, როგორც დანარჩენები. ძალიან ბევრ რთულ სიტუაციაში გვერდში დაუდგნენ სკოლის დირექციას და პედაგოგებს, თანატოლებს. სკოლაში არაერთი ღონისძიება ჩატარდა მათი მონაწილეობით.*

*ბავშვთა აგრესიას რაც შეეხება, ჩემი აზრით, ამის პირველი მიზეზი ოჯახია. ბავშვები, რომლებიც დღეს სკოლაში სწავლობენ, „დაკარგული თაობის" შვილები არიან. დაკარგულ თაობაში ვგულისხმობ „მხედრიონელებს", გვარდიის წევრებს, იმ ბავშვებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდნენ, გაიზარდნენ და აღიზარდნენ რთულ პერიოდში. ჩემი შვილი 27 წლისაა, მისმა ბავშვობამ სროლის, ყაჩაღობის, გამოძალვის ფონზე გაიარა. ბუნებრივია, ეს თაობა დეგრადირებული დარჩა, მათ ოჯახებში ხშირადაა კონფლიქტური სიტუაციები. ჩვენს სკოლაში ბევრი ბავშვია, რომელთაც „უფუნქციო" მშობლები ჰყავთ, განსაკუთრებით – მამები, ანუ უმუშევრები, ნარკომანები... ბავშვი სკოლაში უარყოფითი ემოციებით დატვირთული მოდის, რის გამოც, აგრესიას სკოლაში ან ქუჩაში ავლენს. ოჯახური კონფლიქტები აგრესიის გამოვლინების ერთ-ერთი სახეა ბავშვებში.*

*მეორე, რაც შემიძლია გითხრათ, არის მასმედიის გავლენა მოზარდზე, რომელსაც ბავშვთა აგრესიის მატებაში ლომის წილი მიუძღვის. ის, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ტელევიზიით გადასცემენ, ვფიქრობ, ჩვენი რელიგიისთვის, ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელია. მოწოდება – ნუ აყურებინებთ ტელევიზორს – გამოსავალი არ არის, ბავშვებისათვის არ არსებობს შემეცნებით-გასართობი გადაცემები, გამონაკლისების გარდა. ნუთუ არ შეიძლება იყოს ინგლისურის, მათემატიკის, ქართულის გაკვეთილები, საბავშვო სატელევიზიო გადაცემები. თუკი ჩვენ, თავის დროზე, თამაზ კვაჭანტირაძეს ტელევიზორში სულგანაბულნი ვუსმენდით, ნუთუ არ შეიძლება დღევანდელი ბავშვებისთვის მსგავსი გადაცემების გაკეთება. მით უმეტეს, რომ ჩვენ ამის რესურსი გვაქვს, გვყავს ძალიან ბევრი კვალიფიციური სპეციალისტი. ტოტალიზატორები, ინტერნეტკაფეები, ღამის კლუბები საქართველოში სათანადოდ არ კონტროლდება.*

*დაინგრა მითი იმის შესახებ, რომ 55-ე სა-*



## მწვავე თემა

ჯარო სკოლაში, თითქოს და, მხოლოდ მდიდრების შვილები სწავლობენ. ეს ასე არ არის. ძალიან ბევრი ბავშვი ვერ დადიოდა სკოლაში იმის გამო, რომ არ ჰქონდა სახელმძღვანელო, არ ჰქონდა ჩასაცმელი, ჩანთა... როდესაც მის გვერდით დგას ბავშვი, რომელმაც ბოდრუმში ან ანტალიაში დაისვენა, ფსიქოლოგიურად შურის გრძნობა ეუფლება, რომელსაც ვერ გამოხატავს და ქვეცნობიერად აგრესიაში გადადის. როგორც ფსიქოლოგი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მასმედია და ეკონომიკური სიდუხჭირე ბავშვის ფსიქოლოგიაზე უარყოფით გავლენას ახდენს, ამასთან ერთად არის დაუსჯელობის სინდრომი. ხომ არის შემთხვევები, როცა ორი ბუტერბროდის, ბანანის და ა.შ. მოპარვისთვის მოზარდს 7 წელი მიუსაჯეს და, თუნდაც, ზემოხსენებულ შემთხვევას დავუბრუნდები, მოხდა დანაშაული და გოგონა 10000 ლარის საფასურად უკვე გარეთ არის. ბავშვები აზროვნებენ კონკრეტულად და არა აბსტრაქტულად, როგორც უფროსები. ხედავენ, რომ ბანანი არ უნდა მოიპარონ.... კარაქი არ უნდა აიღონ...., სამაგიეროდ, შეუძლიათ ვიღაც მიზანდასახულად დაჭრან, და თუ ფულს გადაუხდიან, გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან. სწორედ ეს არის გამორჩეული დაუსჯელობის სინდრომი.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, სამწუხაროდ, მასალებს არ ვიცნობ, მაგრამ, როგორც სკოლის ფსიქოლოგი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, პირველ რიგში, ეს გოგონა უნდა შემოწმდეს ფსიქიატრის მიერ. თუ იგი ფსიქიურად შეურაცხადია, მაშინ სათანადო მოპყრობაა საჭირო, თუკი სავსებით საღი გონებით, ალკოჰოლური და ნარკოტიკული ზემოქმედების გარეშე, თანატოლს მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, ე.ი. საზოგადოებისთვის საშიშია. მე ვიქნები უპირველესი წინააღმდეგი იმისა, რომ გოგონა სკოლაში დაბრუნდეს. თუმცა, გამოსავალი არც ეს არის, მოზარდთა მომძლავრებული აგრესიის შესახებ სერიოზული დაფიქრება გვმართებს".

***

ბრალდებულმა ნ-ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, თბილისის ოთხი საჯარო სკოლა გამოიცვალა: II-VII კლასებში 31-ე საჯარო სკოლაში სწავლობდა, მერვე კლასიდან სწავლას №1 საჯარო სკოლაში აგრძელებს, საიდანაც 2008 წლის 23 ივნისს (ბრძანება №37) საბუთები თბილისის 68-ე საჯარო სკოლაში გადააქვს. თუმცა, ნ-ას საბუთები აღნიშნული სკოლიდან სწავლის დაწყებამდე გამოაქვს და 2008 წლის 15 სექტემბრიდან თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში შეაქვს. ამის შემდეგ, იგი სკოლას ისევ იცვლის და 2009 წლის 13 თებერვლიდან (ბრძანება №38/36) 2009 წლის 31 მარტამდე თბილისის 36-ე საჯარო სკოლაში ირიცხება, 29 დღის შემდეგ საბუთებს ისევ 55-ე საჯარო სკოლაში (ბრძანება №49/1) აბრუნებს.

კითხვაზე – დასაშვებია თუ არა მოსწავლის მიერ, მცირე დროში, სკოლის რამდენჯერმე შეცვლა, სკოლის დირექტორებმა გვიპასუხეს, რომ მათ არ აქვთ უფლება მოსწავლე სკოლაში არ მიიღონ, მით უმეტეს, მაშინ, როცა მისი პირადი საქმე დამაკმაყოფილებელია (თუმცა, ეს მხოლოდ ოფიციალურად და მხოლოდ პირად საქმეში). სამწუხაროდ, ყოფილი დირექტორები, პირად საუბარში, ნ-ას არც თუ ისე კარგად ახასიათებენ.

***

**მარინა ნიჟარაძე**, №31 სკოლის დირექტორი: „ნ-ა 2001 წელს მოვიდა ჩვენს სკოლაში, მე მას დაწყებით კლასებში ვასწავლიდი, ამდენად, ძალიან კარგად ვიცნობ. ნიჭიერი გოგონაა, ძალიან კარგად შეეძლო სწავლა და რაღაც ეტაპამდე კარგადაც სწავლობდა, მონდომებული, მშვიდი, მორიდებული გოგონა იყო.

შემდგომ, უკვე მეშვიდე კლასიდან, მოგეხსენებათ, ასაკი თავისას აკეთებს და ბავშვი თითქოს ჩაიკეტა, მხოლოდ 1-2 მეგობარი ჰყავდა, რომლებთანაც საერთო ენას პოულობდა. დამრიგებელი ვიყავი და, ბუნებრივია, ვცდილობდი გამომეცნო, რა ხდებოდა ამ ბავშვში, რადგან ჰქონდა ისეთი სამყარო, რომელშიც პრაქტიკულად არავის უშვებდა.

სკოლას აქვს სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები, რომლებსაც ბავშვები უნდა დაემორჩილონ. ეს ჩაცმულობაშიც გამოიხატება, ჩვენ ყველას ერთნაირად ვთხოვთ, რომ მოსწავლე სკოლის შესაფერის ჩაცმულობაში დადიოდეს. რა თქმა უნდა, მკაცრი კონტროლია გაცდენებზე, აკადემიურ მოსწრებაზე და ა.შ. ვფიქრობ, ნათიას მშობელს ჩვენი სკოლის სტანდარტი არ აკმაყოფილებდა, თუმცა თვითონ ეს არ დაუკონკრეტებია, ძალიან მშვიდობიანად წავიდნენ – მომიტანეს მოთხოვნა და გადავიდნენ. აკადემიური მოსწრება ჰქონდა საშუალო, ნორმალური, რა თქმა უნდა, მეტი შეეძლო. გაცდენებიც ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი კატასტროფული, რომ ამის გამო წასულიყო სკოლიდან. გაცდენებზე ყოველთვის ვითხოვდით ცნობას, შესაძლოა, ამის გამოც მიიღეს გადასვლის გადაწყვეტილება.

ასე რომ, ჩვენთან დაეწყო ნ-ს გარდატეხის ასაკი, რომელიც ყველაზე რთული პერიოდია მოზარდის ცხოვრებაში. ვცდილობდით, „მარწუხები" ცოტა უფრო მეტად მოგვეჭირა, იმავდროულად – მეგობრულ მიდგომასაც. ისეთი დამრიგებელი ჰყავდა, რომ მასთან საერთო ენის გამოძებნა არ უნდა გასჭირვებოდა. ყველანაირად ცდილობდა დამრიგებელი ბავშვთან დაახლოებას. ვერ გეტყვით, რომ ნ-ს ან ენა შეუბრუნებია, ან უზრდელად მოქცეულა უფროსებთან, ასეთი რამ ნამდვილად არ მომხდარა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი მოთხოვნები მისთვის ზედმეტად მკაცრი იყო. ასეთი მოთხოვნები მაქვს დღესაც და ყველა ბავშვს ვაძლევ შენიშვნას, ვინც არ არის შესაბამისად მოსული. ბოლო დროს ნ-მ თვალების დახატვაც დაიწყო. ამაზე, რა თქმა უნდა, ვაძლევდი შენიშვნას. ალბათ, არც ეს სიამოვნებდა. შემდეგ ის გოგონებიც, ვისთანაც მეგობრობდა, გადავიდნენ ჩვენი სკოლიდან №30 სკოლაში. მათაც ანალოგიური პრობლემები ჰქონდათ.

ეს სკვერი, სადაც შემთხვევა მოხდა, აქვეა, სკოლის პირდაპირ. გარწმუნებთ, რაიმე ხმაური რომ გამეგო, აუცილებლად რაღაც ზომებს მივიღებდი. როგორც ტელევიზიით მოვისმინე, ეს სასწავლო პროცესის შემდეგ მოხდა. ამ დროს სკოლაში სიჩუმეა, მაგრამ ნამდვილად არაფერი გამიგია, როგორც დედა მაინც ჩავერეოდი, რა გამაჩერებდა. ნებისმიერ ხმაურზე ვიყურები, რომ არაფერი გამომეპაროს. ტელევიზიით რომ მოვისმინე, გოგონებს შორის სისხლიანი გარჩევა მოხდა, თან „ლონდონის ბაღში", ჩემთვის ეს ამბავი შოკის მომგვრელი იყო.

დაწყებით კლასებში ნ-ს დედა საკმაოდ ყურადღებიანი იყო. ვერ ვიტყვი, რომ არ მოდიოდა და არ აინტერესებდა, ხშირად იყო სკოლაში. ბოლო დროს ხშირად მქონდა მასთან გულახდილი საუბრები, ვუხსნიდი, რომ ბავშვში ცვლილებები მოხდა, მაგრამ ხომ იცით, ზოგიერთ მშობელს ნაკლებად სჯერა ხოლმე ჩვენი. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ დედამისი ყოველთვის ამართლებდა, ალერგია აქვს, ასთმური მოვლენები და მისთვის ნერვიულობა არ შეიძლებაო. ძალიან ვუწყობდი ხელს, ვცდილობდი, არ განერვიულებულიყო. ეს ასთმური მოვლენები ბოლოს უკვე სპეკულირების საგანიც კი გახდა – არავის მისთვის საყვედური არ უნდა ეთქვა, თორემ სპაზმი დაემართებოდა. თუმცა ჩვენთან სწავლის პერიოდში შეტევა არასოდეს დამართნია, დედა სწორედ ამ სპაზმით ამართლებდა მის გაცდენებს. თუმცა გაცდენების ცნობები მოჰქონდა. ბოლოს ბავშვი ძალიან გაგვერიყა, აღარც დამრიგებელს ემეგობრებოდა.

ნ-ა რომ სკოლიდან წავიდა, მაშინვე მივხვდი, მშობელმა შეცდომა დაუშვა. მე უარის თქმის უფლება არ მქონდა – პირველი სკოლიდან ჰქონდათ მოთხოვნა. შეიძლება ასეც ვთქვა, რომ ეს იყო კარგი მასალა და ხელოსნებმა ვერ ვივარგეთ. ჩემთვის მომხდარი ძალიან მტკივნეულია."

**თეა სადილიანი**, ნ-ს დამრიგებელი V-VII კლასებში: „რაც შეეხება ნ-ს, გონებრივად განვითარებული ბავშვი იყო. ვერ ვიტყვი, რომ, როგორც დამრიგებელსა და თურქული ენის პედაგოგს, რაიმე პრეტენზია მქონოდა. მაგრამ გარდატეხის პერიოდმა მოუწია და უფრო გათამამდა, ამბიციური გახდა, დაიწყო გაცდენები. მარტივად რომ ვთქვა, უკვე აღარ მომწონდა გოგონას საქციელი. თავისუფალ დროს ხშირად ქუჩაში ატარებდა. დაიწყო განსხვავებულად ჩაცმა, პომადითაც კი მოდიოდა სკოლაში. იძულებული გავხდი, მიმემართა დირექტორისთვის და მშობლისთვის. რამდენჯერმე დავიბარე დედამისი და ვესაუბრე. შეიძლება ჩემი კომპეტენცია არც იყო მათ ცხოვრებაში ჩარევა, მაგრამ იმდენად შემტკიოდა გული, რომ რამდენჯერმე გავაფრთხილე მშობელი. არაფერმა გაჭრა. ბოლოს პირველ საჯარო სკოლაში გადაიყვანა, როგორც ჩანს, ვერ შეეგუენ ჩვენი სკოლის შინაგანაწესს.

ვერ ვიხსენებ, რომ რაიმე აგრესია შემემჩნიოს მის საქციელში, მაგრამ, ალბათ, რაღაც იდო მის ხასიათში, სხვანაირად ამ საქციელს ვერ ჩაიდენდა. რა თქმა უნდა, ყველა დედას უნდა, რომ კარგი შვილი ჰყავდეს, მაგრამ გარდატეხის ასაკმა მოუწია, მშობელს რაღაც გამოეპარა, ამას მოჰყვა სკოლიდან გადასვლა და მეგობრების შეცვლა, რამაც უთუოდ მოახდინა გავლენა მის ფსიქიკაზე. ვერ ვიტყვი, რომ ეს საქციელი, მშობლის მხრიდან გამართლებული იყო, რადგან ბავშვი ყველანაირად აირია. ვფიქრობ, ჩვენთან უფრო კარგად იქნებოდა. ნ-ზე ძალიან მტკივა გული."

***

**ლელა წიქარიშვილი**, № 1 საჯარო სკოლის დირექტორი: „ბრალდებული გოგონა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ჩვენს სკოლაში ერთი წელი სწავლობდა. ამ ხნის მანძილზე მას არანაირი კონფლიქტური სიტუაცია არ შეუქმნია. ერთადერთი პრობლემა მისი აკადემიური მოსწრება გახლდათ. ბავშვი თავისი სურვილით გადავიდა სხვა სკოლაში, რადგან სავალდებულო აკადემიური მოსწრება არ ჰქონდა, 2008 წლის 23 ივნისს, გადავიდა 68-ე საჯარო სკოლაში (ბრძანება №37).

სამწუხაროდ, საგრძნობლად გაიზარდა მოზარდებს შორის აგრესია. **გადავხედოთ კანონს „ზოგადი განათლების შესახებ", მუხლი 19. პუნქტი 9. „დაუშვებელია მოსწავლის ჩხრეკა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული გადაცდომა. მოსწავლის ჩხრეკა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სკოლის მიერ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა. დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა".** ჩემი აზრით, ამ მუხლმა შეიძლება ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნება გამოიწვიოს. საერთოდ, შესიტყვება „დასაბუთებული ვარაუდი" ცოტა ალოგიკურია, იმიტომ რომ თუ ვარაუდია, როგორ არის დასაბუთებული?

მიუხედავად იმისა, რომ დღეს კანონი ასეთ ინტერპრეტაციას ითვალისწინებს – დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა (თუმცა, ჩვენ ამას მივმართავდით), შეზღუდულები ვართ მოქმედებაში. სასწავლო პროცესი დინამიურია, გაკვეთილებს მოსდევს 5-წუთიანი დასვენება და სწორედ ეს წამები და წუთები შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი ბავშვების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. რომელი კომპეტენტური ორგანო შეძლებს იმას, რომ აგვარიდოს საფრთხე, სანამ ჩვენ ამ ვარაუდებს დავასაბუთებთ თუ ვერ დავასაბუთებთ? ეს არის საინტერესო. რა ქნას სკოლამ? მისდიოს ვარაუდების დასაბუთების რაღაც ფორმალურ რუტინას თუ, უშუალოდ, საქმეს მიხედოს. კლასებში დათვალიერება, ელემენტარული ინფორმაციის საფუძველზე, აუცილებელია.

წლევანდელ სასწავლო წელს, ჩვენი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ სკოლაში დანით დაჭრა თანატოლი, სწავლის დაწყებიდან რამდენიმე დღეში. არანაირი ნიშანი და დასაბუთებული ვარაუდი ჩვენ არ გვქონია, მაგრამ ვფიქრობ, იმ პირველი 3-4 დღის მანძილზე რომ შევსულიყავით კლასებში დაცვის პოლიციის თანამშრომლებთან, სააღმზრდელო დარგში მოადგილეებთან ერთად, ჯგუფურად, ბავშვებისთვის განგვემარტა, რომ ეს არ არის მათი ღირსების შელახვა, ეს კეთდება მათი უსაფრთხოების და პრევენციის თვალსაზრისით, დელიკატური და მათთვის მისაღები ფორმით, დიდი ბოდიშის მოხდით, დაგვეთვალიერებინა მათი სასწავლო ნივთები – ეს იქნებოდა გამაფრთხილებელი ჟესტი ჩვენი მხრიდან. ასეთი ტექსტით რომ მიდიხარ ბავშვთან, ის აუცილებლად გაგიგებს. აქედან გამომდინარე, სწავლის დაწყების წინ, თუნდაც, რამდენიმე კლასი რომ დაგვეთვალიერებინა, აუცილებლად ავცდებოდით იმ ფაქტს, რაც ჩვენს სკოლაში მოხდა. ამას ადრე ყოველთვის ვაკეთებდით. №1 საჯარო სკოლის საზოგადოების მოთხოვნა და ნებაა, ის მოსწავლე, ვინც სკოლაში დანას გამოიყენებს სკოლაში ვერ დარჩება. მოდით, განვსაზღვროთ დამჭრელი მოსწავლის სტატუსი და მდგომარეობა, ეს ძალიან მარტივია. ის გარკვეული წრისთვის რჩება „მაგარი ტიპი". ბავშვი, რომელმაც სკოლაში დანა გამოიყენა და იმავე სკოლაში გააგრძელა სწავლა, მომენტალურად ხდება „ავტორიტეტი", რომც არ უნდოდეს ამ მიმართულებით გააგრძელოს ცხოვრება, აუცილებლად მოძებნიან ისეთი ადამიანები, რომელთათვისაც ის მიმზიდველი, გამოსაყენებელი და სასარგებლო იქნება. ასეთი ბავშვის მშობელს ყოველთვის უნდა ესმოდეს, რომ მისმა შვილმა ახალი ფურცლიდან დაიწყოს ცხოვრება.

ჩვენმა სკოლამ, შეიძლება, რაღაც გარემოებების საფუძველზე, მოსწავლეს აპატიოს ცივი იარაღის შემოტანა სკოლაში, მაგრამ გამოყენებას ვერავის ვაპატიებთ. ჩემი აზრით, რთულ ბავშვებთან მხოლოდ სკოლის ფსიქოლოგის მუშაობა სრულიად არაეფექტურია, რადგან არსებობენ ისეთი მშობლები, როცა მათ შვილებს დანას აღმოვუჩენთ, გვეტყვიან: „მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს დანა თქვენ ჩაუდეთ ჩემს შვილს ჯიბეში". როცა დედა ამას იტყვის, თან ბავშვის თანდასწრებით, იქ თუნდაც 200 ფსიქოლოგის ჩართვა საქმეს წინ ვერ წასწევს. ეს ზოგადად სოციუმის პრობლემაა.

მაშინაც კი, როცა ვიცი და მაქვს ინფორმაცია, რომ სკოლაში ჩხუბია დაგეგმილი, უნდა ვეძებო და ვიკვლიო დასაბუთებული ვარაუდი. როცა სკოლის ადმინისტრაციას გვანდობენ 1000-ობით ბავშვის მოვლას, პედაგოგებს კი ბავშვების სწავლა-განათლებას, ნუთუ ასეთი საშინელებაა და ღირსების შელახვაა სათანადო, დელიკატური ფორმით, კოლექტიური დათვალიერება, რომელიც მყისიერ ეფექტს იძლევა და საუცხოო პრევენციის საშუალებაცაა. ეს ჯობია, თუ ის, რაც ჩვენს სკოლაში სწავლის დაწყებიდან რამდენიმე დღეში მოხდა?

ძალიან სერიოზული ხარვეზია ისიც, რომ ვერ ამოქმედდა „უსაფრთხო სკოლის" პროექტი. აუცილებელია, ისეთი დიდი სკოლების, როგორიც ჩვენ ვართ და სხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი აღჭურვილობით."

**ნ-ს ყოფილი კლასის დამრიგებელი**: „გოგონა ჩვენს სკოლაში, დაახლოებით, ერთი წელი სწავლობდა, თუ ამას სწავლას დავარქმევთ – ბავშვი სკოლას ძალიან ხშირად აცდენდა, მოსწრებაც შესაბამისი ჰქონდა. ამის შესახებ სკოლის დირექციაც ჩავაყენე საქმის კურსში. თავიდანვე კლასელებთან ურთიერთობა ძალიან გაუჭირდა, თავისებური ბავშვი იყო, ჩაკეტილი, ცოტა აგრესიულიც, თუმცა, კონფლიქტური სიტუაცია სკოლაში არ შეუქმნია. მისი უმიზეზოდ გაცდენების შესახებ მშობელი არაერთხელ გავაფრთხილე, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყვა."

***

**ქეთევან მელიქიშვილი**, 36-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „ნ-ა ჩვენს სკოლაში 2009 წლის 13 თებერვალს ჩაირიცხა (ბრძანება №38/36), ხოლო 2009 წლის 31 მარტს გადავიდა 55-ე საჯარო სკოლაში (ბრძანება №49/1). ამ ხნის განმავლობაში, გაცდენილი აქვს 42 საათი. გადასვლის მიზეზიც ეს არასაპატიო გაცდენები გახდა. აქ ყოფნისას შემჩნეული არ ყოფილა დანაშაულის ჩადენის მცდელობაში. არასაპატიო გაცდენების მიზეზად ავადმყოფობას ასახელებდა, მაგრამ არასდროს სათანადო ცნობა არ წარმოუდგენია. სკოლაში მოდიოდა მოწესრიგებული, იყო ჩუმი და თავმდაბალი. იცოდა, რომ სხვანაირად მოქცევისას სკოლა სათანადო პასუხს მოსთხოვდა. ჩემი აზრით, მან სკოლის რეჟიმს ვერ გაუძლო. ყოველი გაცდენისას კლასის დამრიგებელი ნ-ას დედას საქმის კურსში აყენებდა. დედის ინფორმაციით, ბავშვი ავადმყოფობის გამო იყო სახლში, თუმცა, როცა დამრიგებელი მიდიოდა მასთან, სახლში არასდროს ხვდებოდა. ხშირი გაცდენები იმაზე მეტყველებდა, რომ ნ-ა, ამ დროს, სხვა საქმით იყო დაკავებული. კლასის დამრიგებელს ხშირად უწევდა ბავშვის ძებნა და იგი ბევრჯერ არასასურველ სიტუაციაშიც შეუმჩნევია. ნ-ას დედასთან, ამის გამო, ყოველდღიური კონტაქტი მქონდა, თუმცა, სამწუხაროდ, დედა ყოველთვის მის გამართლებას ცდილობდა, ამიტომ ჩვენი ურთიერთობა ვერ შედგა და დედა იძულებული გახდა, ბავშვი სხვა სკოლაში გადაეყვანა.

მომხდარმა ძალიან შემაშფოთა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია. ეს ბავშვი მსხვერპლია. იგი გონებაგახსნილი გოგონა იყო და დასანანია, რომ მან ეს არ ან ვერ გამოიყენა.

ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ მეც და ჩემი სკოლის ყველა მასწავლებელმა ვიცით ბავშვებთან ურთიერთობა, ჩვენს სიტყვას ფასი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ აკრძალული გვაქვს ჩხრეკა და კოლექტიური დათვალიერება, დიდი ბოდიშის მოხდით და მოსწავლეების უსაფრთხოების მიზნით, ამას მაინც ვაკეთებ. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ გავიგო, რითია ბავშვი სკოლაში მოსული? ამაში შეურაცხმყოფელი, ვფიქრობ, არაფერია. არც ერთი მოსწავლე ამის წინააღმდეგი არასდროს ყოფილა, არც მშობლებს გამოუთქვამთ რაიმე პრეტენზია."

***

მიუხედავად იმისა, რომ საგაზეთო სტატია საკმაოდ ვრცელი გამოვიდა, ბევრი რამ ბუნდოვანი და გასარკვევი დარჩა. ეს ბუნებრივიცაა. მით უმეტეს, რომ კომენტარის გაკეთება ამ ეტაპზე არ ისურვეს არც განათლებისა და არც შსს სამინისტროში. ჩვენ თემაზე მუშაობას გავაგრძელებთ. იმედი გვაქვს, ამ უწყებათა წარმომადგენლები თავიანთ კომპეტენტურ აზრს გამოთქვამენ მომხდარის შესახებ, რადგან ინციდენტმა, სამწუხაროდ, მარტო მოზარდების სახე კი არა უფროსების გულგრილობა, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულებაც აჩვენა.

ასე რომ, ბევრ რამეზე გვმართებს დაფიქრება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რედაქცია ელის გამოხმაურებას.

**მაკა ყიფიანი**
**თამუნა ჭანტურია**

ნააზრევი

1922 წელს ნიკოლო მიწიშვილმა სტამბოლიდან კოლეგებს გამოუგზავნა წერილი „ფიქრები საქართველოზე“, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება ერისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

*„წერილმა ძალზე გაიხმაურა ლიტერატურულ წრეებში და მთელი საზოგადოება ააფორიაქა. მიწიშვილი თითქოს განგებ შეეხო ყველაზე მტკივნეულ სიმს, რომ ბევრისთვის მიეცა საშუალება გამოხმაურების, აზრის გამოთქმისა... მიწიშვილის, როგორც პიროვნების და მოღვაწის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ მორიდებია ამ კრიტიკული წერილების დაბეჭდვას ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო“* (მანანა ჩიტიშვილი).

მოპასუხეთა შორის იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სეით დევდარიანი, სიმონ ჩიქოვანი, ბენიტო ბუაჩიძე და სხვანი. 70 წლის შემდეგ, 1993 წელს, გაზეთ „კავკასიონის“ ჩანართ „არილის“ ფურცლებზე, თეიმურაზ მაღლაფერიძის ინიციატივით, კვლავ განახლდა დისკუსია ამ წერილის ირგვლივ. რუბრიკით „ნააზრევი“ შემოგთავაზებთ რამდენიმე გამოხმაურებას.

## მიხეილ ჯავახიშვილი

# მასალები ლექციისათვის

„რანი ვიყავით გუშინ“
იაკობ გოგებაშვილი

### სადაც მუქი ჩრდილია, დიდი მზეც იქ არის!



„ზის ბერძენი ტრაპიზონში და სტირის...“

ზის მ.-ი სტამბოლში და ისიც სტირის. ორივენი დასტირიან დაკარგულ სამშობლოს. მსგავსება გარეგნულია, განსხვავება კი ძლიერი: ბერძენი სტირის იმის გამო, რომ მას დაეღუპა ელლადა და ბიზანტია – სამშობლო, კულტურა და ერი გენიალური, ბრწყინვალე და უეჭველად უზენაესი. მ.-ის სულიერ ტანჯვასა და ცრემლს სულ სხვანაირი ფსიქოლოგიური სარჩული უდევს. მართალია, ისიც მოსწყდა სამშობლოს, მაგრამ მას გარდახვეწის სევდა კი არ აწვალებს, არამედ ათჯერ მეტი და ასჯერ უარესი – თავისი ხალხისა და სამშობლოს არარაობა, ბერწობა, უბადრუკობა.

ზის პოეტი ბოსფორის ნაპირებზე და სწერს მეგობრებს:

„ჩვენი შემოქმედება შეკვეცილი, ფრთაშეჭრილი, დამცირებული და გაუშლელია“. (ავტორი ჰგულისხმობს ქართველ მწერლებსა და საერთოდ ქართველი ხალხის სულიერ შემოქმედებას). და ეკითხება თავის თავს: „სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის), თუ პოეტი სამშობლოსათვის?“ და თვითონვე იძლევა პასუხს: სამშობლო უნდა იყოს პოეტისათვის, იგი „უნდა იყოს სტიქია, ატმოსფერა, ნოყიერება, რომელიც აღმოაცენებს შემოქმედებას“. ეს სქოლასტიური ძიება ძალიან ჰგავს კლასიკურ დავას – რა (თუ ვინ) რისგან (თუ ვისგან) გაჩნდა, ქათამი კვერცხისგან თუ კვერცხი ქათმისგან? ასეთი კვლევა-ძიება ლოღიკის ვარჯიშობისთვის სასარგებლოც იქნებოდა, რომ მას არ მოსდევდეს გულის გამტეხი და სულის გამშავებელი დასკვნა და დასკვნები. პოეტი არც ერიდება ამას. „ბოლოს და ბოლოს ეს სიტყვა უნდა ითქვას“, და გაბედვით, თავგანწირულებით ვარდება ეჭვიანობისა და ნიჰილიზმის მორევში. საქართველო მას ეჩვენება „იმგვარ ქალად, რომელსაც, სოფელში რომ იტყვიან, უშვილობის წამალი აქვს დალეული“... „სამშობლო არ აძლევს პოეტს რასმეს და, პირიქით, პოეტი სცდილობს მისცეს მას“ (ისევ ქათამი და კვერცხი მაგონდება)...

დღევანდელი თაობის სულიერი შემოქმედება არარაობას უდრის: „ვერ ნახავ მასში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს. ასეთი ყუმი და უმია ჩვენი პროზაც – აძიგძიგებული, როგორც ციებიანი ქათამი სამეგრელოში“... „მე მას (საქართველოს – მ.ჯ.) ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?“... ჩვენი წარსულიც სრული უბადრუკობაა:

„იქ (საქართველოს ისტორიაში – მ.ჯ.) მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაცა შეკოწიწებული და გადაჭრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში“... „ორიათასი წლის გამავლობაში მე ვერ ვხედავ ამას („ნათლის სვეტს“, „ჯვარს“ – მ.ჯ.) და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა – უსათუოდ გაუგებრობაა ის, თუ არადა – ან რუსთაველი არაა ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე“...

ამის დამწერს თვითონვე შეეშინდა თავისი უიმედობის: „მე ვიბნევი და მეშინია ასეთი კითხვების. მაწუხებს ეს აქ (სტამბოლში – მ.ჯ.), ისე როგორც არასოდეს და ირყევა ჩემი სიმტკიცე და გული“. ეშინია, მაგრამ თავაშვებით მისცურავს ნავი ნაღველის ფსკერამდე.

„მე არ მინდა უარვყო საქართველო წარსულში (უკვე უარჰყო) და მომავალში“. და მომავალსაც ხუთი სტრიქონის შემდეგ უარჰყოფს: „ეს საუკუნე (რაღა მარტო ეს საუკუნე?) ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს“.

და პოეტის აფართხალებული აზრი და გრძნობა მტკივნეულად გაჰკივიან:

„შეიძლება ჩვენც ჩაგვყლაპოს იმ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულს და სისხლს საუკუნეთა განმავლობაში“...

„ჩვენ... ვვარდებით სკეპტიციზმში (მართალია!), რომელიც ალბათ, მიგვიყვანს ცინიზმამდე (ესეც მჯერა!)“...

„საქართველო პასიური მოვლენაა“...

„საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს. ამითია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის.

მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი...“

ასე თავდება მ.-ის კვნესა-გოდება. ესეც საკმარისია. კიდევ რომ დაემატა რამე, გლოვა-ტირილი ისტერიულ ტირილად გადაიქცეოდა.

ბევრი აგოდებულა ჩვენში ამავე ჰანგზე. მაგონდება თუნდაც მიხ. წერეთლის „ერი და კაცობრიობა“. ამ წიგნმა ყველანი ჩაგვაფიქრა და დაგვაღონა. ფილოსოფიურ და მეცნიერულ მეთოდებითა და ისტორიულ საბუთებით გვაჯერებდა – საქართველო იღუპებაო. მ.-ს საბუთები არა სჭირდება, ვინაიდგან „პოეტი თავის ფილოსოფიას არ ასაბუთებს“. აქ არც არის საბუთი, ფილოსოფია, მეთოდი. მისი წერილი გაჟღენთილია სულიერი განწყობილებით, გუნებით, გლოვის ჰანგით. სამაგიეროდ პოეტური ჰანგი, კილო და გუნება ხშირად მეცნიერულ საბუთებზე უფრო მძიმეა, მჭრელი და... სახიფათოც.

მაგონდება ჩემი თეიმურაზ ხევისთავიც. მხოლოდ ერთი მხრით ჰგვანან ერთმანეთს მ.-ი და ხევისთავი: ორივეს იმედი დაჰკარგვიათ და გულები გაჰშავებიათ.

„– ვიღუპებით!“ – ჰკივის ხევისთავიც და სასოწარკვეთილ უიმედობით იხრჩობა. მისი პესიმიზმი გადადის შავ მელანქოლიაში, ხოლო ასეთი გულის ნაღველი, ლოღიკურად განვითარებული, იქამდე მიდის, რომ ხევისთავი ქართველობას თაკილობს და ბედს შესჩივის – რატომ ინგლისელად, ფრანგად ან გერმანელად არ გამაჩინეო.

რომელ ცოცხალ ქართველს არ უზის გულში ეჭვის ჭია!? ვის არ აწუხებს, ან ვინ არ უწვალებია მწვავე შიშსა და მომავალის „ვაი თუს“!? ჩვენი ლიტერატურა სავსეა ასეთი შიშის იდუმალი ღელვით. მაგრამ შიშიც არის და შიშიც. მ.-ს ბუნებრივი ეჭვიანობა ჯერ შიშად გადაიქცა, მერე კი ფხრეწაში და ფეთებაში გადავიდა. და ამ დაფეთიანებას ჩვენი ძველი ნაცნობი ნიჰილიზმი ამოჰფარებია. იგი ქიმუნჯით ერეკება პოეტს შავი უფსკრულისკენ, არარაობისკენ, უარყოფისკენ. და ლანდებით დაშინებული პოეტიც სტირის და მოსთქვამს: „არც არაფერი ვყოფილვართ, არც ეხლა ვართ, არც შემდეგში ვიქნებითო“.

არ ვიცი, იქნება ამან სხვა ვინმე დააფრთხო. მე კი წერილი ჩავიკითხე და მივაწერე: „რამ შეგაშინა მაგრე რიგად, ძმობილო? რას მაშინებ! შენი არც მეშინიან და არცა მჯერა“. მაინც გავიფიქრე: „ამ კაცის რწმენა ეჭვის ჭიებს შეუჭამიათ, ხოლო ეს სენი შავი ჭირივით გადამდებია. ისედაც მრავლად არიან საკუთარის აჩრდილით დაშინებულნი. სხვებიც დასწერენ, გაიმეორებენ, აჰყვებიან ერთმანეთს, აგლოვდებიან და ცოცხალ ხალხს საქვეყნო პანაშვიდს აგვიგებენ“. აი, ამან ამაღებინა კალამი ხელში.

ათჯერ და ასჯერ უთხარით ვინმეს, ჩააგონეთ და დააჯერეთ, რომ მისი მშობლები ლოთები იყვნენ, მისი პაპა და ბებია – ავაზაკი და მეძავი, ხოლო დანარჩენ წინაპრებად ველურები, ათაშანგიანები, უვიცები, კრეტინები და უბადრუკნი ჰყავდა. დააჯერეთ, რომ თვითონ ისიც, ასეთი წინაპრების ღვიძლი შვილი, არაფრის არაფერია – ლატაკი, გონჯი, დაავადებული, უზნეო და უმეცარი. მრავლად შეუშხაპუნეთ ამ ჯანმრთელ ადამიანს ეჭვის ბაქტერიები, ჩაუნერგეთ მტკიცე რწმენა თავისი თავის არარაობისა და შემდეგ თვალყური ადევნეთ. ეს ადამიანი სულიერად მოიშლება, მოიღუნება, მოტყდება და დაავადდება. ამ სენს ჰქვია ნებისყოფის აბულია. ჰგდია ჯანსაღი ვაჟკაცი და თითსაც ველარ იქნევს, ჰგდია და ელოდება სიკვდილს, ზოგჯერ კი მოლოდინის უნარიც აღარ აქვს. ნირვანნა, არარაობა, სრული გარინდება, სამუდამო დასვენება – აი მისი ერთადერთი საზრუნავი.

რა დაემართა ამ ადამიანს? თავისი თავის რწმენა დაეკარგა, სიცოცხლის უნარი დაუჩლუნგდა, ნებისყოფა გამოეცალა. ფსიხოპატოლოგი კარგად იცნობს ამ სენს – ზოგჯერ მასიურს და მუდამ სახიფათოს. ამავე კანონს ემორჩილება ხალხიც, ან მისი რომელიმე ნაწილი.

ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო. იგივე ითქმის სოციალურ ფსიხიკაზედაც. თუ დააჯერეთ ხალხი, რომ არც მისი წინაპარნი ვარგებულან, არც თვითონ აქვს რამე და არც იმის ჩამომავლობა შეჰქმნის რასმეს თვალსაჩინოს, თუ გამოაცალეთ თავისივე თავის რწმენა და მოუშალეთ იმედი – ასეთი ხალხი წასულია, მისი დღენი დათვლილია. ისიც იმ ერთ პიროვნებასავით მალე მოიშლება, მოიღუნება და შეებმება აღმოსავლურ უღელში: გარინდება, ნირვანნა, პასსიურობა, ბედის მორჩილება – აი მისი მომავალი.

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთსაც სწორედ ეს სენი მოედო, სამაგიეროდ მას განუვითარდა ბებრული სიბრძნე, გულთამხილავი თვალი, ვიზიონერული ალღო და მისტიკური აღზნების უნარი. ხოლო იმდენად გამოეფიტა ნებისყოფა და აქტივობა, რომ სამოციოდე ათასს ინგლისელ ჯარისკაცს ხელში უჭირავს სამასი მილიონიანი ინდოეთი. რა თქმა უნდა, აღმოსავლეთი იმიტომ კი არ გაირინდა, ვითომ მისთვის ვინმეს ჩაეგონებინოს მისი არარაობა, ვერც დააჯერებს ვინმე, რადგან მას ბრწყინვალე წარსული და დიდებული მომავალი აქვს. იმის პასიურობას მეტად რთული მიზეზები აქვს.

მ.-ი მარტო არ არის. ურწმუნობით მრავალია შეპყრობილი და ასეთი სულიერი მოდუნება გადამდებ სენივით ედება ჩვენი ხალხის მჩატე ნაწილს. აი, ამიტომ ეძლევა მ.-ის წერილს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

თუ ერმა ოც საუკუნეში მართლა ვერაფერი შეჰქმნა და მეოცდაერთში განგაში ასტეხა – ეხლა კი მთელ ქვეყანას გავაოცებო, ნუ დაუჯერებთ. დამჩატებულს, გაბერწებულსა და გამოწურულ ხალხს რეჟიმის შეცვლა ველარაფერს უშველის. მაგრამ ჩვენი ბიოლოგიური მოდუნება და სულიერ-პოტენციალური გაბერწება ზღაპარია, საფრთხობელაა, რომელიც პოეტს ღამით ბოსფორის სრუტეში მოეჩვენა.

უდავოა, რომ ქართველები ანტროპოლოგიის კლასიფიკაციაში პირველ რიგში დგანან. ბლუმენბახი რომ ჰქმნიდა თავის თეორიას, ინდო-ევროპიული მოდგმა უმაღლეს ნიმუშად წამოაყენა და მას „კავკასიური რასსა“ უწოდა. მრავალ ათას ჩონჩხიდან, რომელიც მან გასინჯა, არჩეული ნიმუში – საუკეთესო, იდეალური, მიუღწეველი – ქართველი ქალისა აღმოჩნდა. იშვიათია ქვეყანაზე ჩვენისთანა მოსული, ნატიფი, ჯიშიანი ხალხი. ეს არ არის კვეხნა – ამას ამბობენ უცხოელები. და ეს ჯიშიანობა დღემდის შევინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ საზარელი გზა გავიარეთ და ამ გზაზედ სიკვდილს ასჯერ მაინც ჩაუვვარდით კლანჭებში, მაგრამ საზღაპრო უკვდავი ჭაბუკივით ასჯერვე გავუსხლტით.

ნე მეტყვიან, ფიზიკური ჯიში ანგარიშში ჩასაგდები არ არისო. კულტურების მსოფლიო გამოფენაზე ანტროპოლოგიურ ჯიშიანობასაც ისეთივე ფასი აქვს, როგორც სულისა და გონების ამა თუ იმ ნაყოფს, რადგან დახვეწილი ჯიშიც დიდი კულტურის შედეგია. ვისაც ჰხიბლავს ელინის პროფილი, რომაელის შუბლი ან ასურელის კუნთი, მას ქართველის თვალი და ცხვირიც მოაჯადოებს. ოღონდ ჩვენს თვალ-ტანადობას სათანადო გატანა სჭირდება მსოფლიო გამოფენაზე. ეს საქმე კი პოეტსა და ხელოვანს აქვთ დაკისრებული. და თუ პოეტი მ.-ი ვერა ხედავს ძველ ბრინჯაოსგან გამოკვეთილ ქართველის ტიპს, ან იმის ნაცვლად კრეტინი ელანდება – ეს მისი დაბინდული თვალის ან ნატკენი გულის ბრალია.

ჩვენს ფიზიკურ აღნაგობაში განუყრელად ჩაღვრილია ბიოლოგიური გამძლეობაც. მარტო ეს ერთი მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ჩვენს უბერებლობას: მარტო წინა აზიაში, ჩვენს გვერდით და გარშემო ოციოდე დიდი ერი და სახელმწიფო დაიღუპა, ზოგნი კი მიილივნენ და დაიშრიტნენ. ეს ერები რიგრიგად გვფლობდნენ. შემდეგ ბატონები რიგრიგადვე დავგეხოცნენ, ჩვენ კი ისევ ფეხზე ვდგევართ და ჩვენი გზით მივაბიჯებთ – დინჯად, მტკიცედ და უდრეკად. ამ გზაზედ მრავალჯერ ჩავვარდით სამარეში – ზოგჯერ ცალი ფეხით, ზოგჯერ კიდევ ყელამდის.

ხალხთა ულეველ ჭიდილში ქართულ რასსას ებრაელთა უკვდავება და ჭიანჭველას ძალა აღმოაჩნდა: ვინც ჩვენი შეჭმა დააპირა, ჩვენი შხამით მოიწამლა.

ფოტოქრონიკა

# უძველესი დროიდან დღემდე

2 ოქტომბერს, საქართველოს სახელმწიფო არქივში, აფხაზეთის ისტორია, მე-19 საუკუნიდან დღემდე, ფოტოებსა და ხელნაწერებში გაცოცხლდა. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივისა და აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილებასთან ერთად, ფოტოდოკუმენტური გამოფენა მოაწყო – „აფხაზეთის ისტორია ფოტოებსა და ხელნაწერებში“. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო რევოლუციამდელი საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი ფოტოგრაფის, დიმიტრი ერმაკოვის აფხაზეთში, 1890-დან 1900 წლამდე, გადაღებული ფოტოები სოხუმისა და გაგრის ცნობილი ხედებით; თანამედროვე აფხაზეთი კი იური მეჩითოვმა წარმოადგინა 2007 წელს სოხუმში გადაღებული ფოტომასალით.

დამთვალიერებლისთვის ორივე ფოტოგრაფის ნამუშევარი საინტერესო, მაგრამ სევდისმომგვრელი იყო, რადგან იქ მისულთაგან უმეტესობა აფხაზეთიდან დევნილი იყო. გამოფენილ ფოტოებს, თემატიკის გარდა, ერთი და იგივე ტკივილიც აერთიანებდა – ვერც მაშინ და ვერც ახლა ქართველი საზოგადოება სოხუმში ვერ ჩადის... მიზეზი კი, მაშინაც და ახლაც, ერთი და იგივეა – დამპყრობელთა მიერ გავლებული საზღვარი, რომელმაც ნაპირს გაღმა დატოვა ჩვენი ქვეყნის ძირძველი ნაწილი და არქივად ქცეული დოკუმენტური მასალით თუ ვიხსენებთ იმას, რაც ჩვენთვის ძვირფასია. ამ დღეს, 1992 წელს, დაეცა გაგრა... გამოფენით ამ ტკივილიან დღესაც გამოეხმაურნენ. სტენდებზე გამოფენილი, 1803-1906 წლების, უნიკალური ხელნაწერები (დედნები), რომლებშიც ნათლად ჩანს რუსეთის იმპერიის ზრახვები აფხაზეთთან მიმართებაში, გარკვეულწილად ნათელს ჰფენდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზებს.

*„დღეს გამოფენილია დიმიტრი ერმაკოვის 1880 წელს შესრულებული გაგრა-სოხუმის და იური მეჩითოვის 2007 წლის სოხუმის ხედები. გარდა იმისა, რომ მათ ფოტოებს ერთი ობიექტი აერთიანებს, აერთიანებს ისიც, რომ ვერც მაშინ და ვერც ახლა ჩვენ სოხუმში ვერ ჩავდივართ. რატომ? მოდით, შევეცადოთ ამ კითხვაზე პასუხი აქ, ამ დარბაზში წარმოდგენილ ხელნაწერებსა და გეგმებში ვიპოვოთ,* – გვითხრა აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილების სპეციალისტმა, **ნანა ქარდავამ**, – *ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც დღეს გამოიფინა, 1745 წლით დათარიღებული ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის ხელნაწერია – აღწერა „ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა.“ ასევე, გამოფენილია სხვადასხვა დროს შედგენილი აფხაზეთის რუკები, შერვაშიძეების საგვარეულო გენეალოგიური რუკები, 1864 წლის რუსეთის დიდი მთავრის, მიხეილის წერილი მილიუტინისადმი, რომელშიც იგი აფხაზეთიდან მიხეილ შერვაშიძის გასახლების აუცილებლობაზე მიუთითებს. აქვე იხილავთ წერილს, თუ როგორ ჩააბარეს აფხაზეთის მთავრობა არა შერვაშიძეს, არამედ რუს გენერალ შატილოვს; 1863 წლით დათარიღებული წერილი, სადაც გენერალი კარცევი უარს ეუბნება გიორგი შერვაშიძეს გამთავრებაზე. როგორც ცნობილია, შემდეგ გიორგი შერვაშიძე ცნობილი ქართველი პოეტი და დრამატურგი გახდა და მთელი ცხოვრება დევნილობაში გაატარა. ის არის პირველი ქართველი დევნილი, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია რუსეთის იმპერიის ასეთი ეშმაკური დამოკიდებულება. საინტერესოა, ასევე, ერთადერთი ცნობა, რომელიც კიდევ ერთი გიორგი შერვაშიძის (ფილიპეს ძე) შესახებ ვიპოვე. ის წლების განმავლობაში (თუ არ ვცდები, 17 წელი) თბილისის გუბერნატორი იყო. იმის დამადასტურებული ცნობა, რომ მას აფხაზეთში მამულები ჰქონდა, აქ არის გამოფენილი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ამჟღავნებს რუსების დაუოკებელ სურვილს – აფხაზეთის ხელში ჩაგდების, არის 1906 წლის სოხუმის ოლქის აღწერა ეროვნული ნიშნის მიხედვით. თქვენ წარმოიგინეთ, იმდენად დიდია რუსეთის სურვილი, რომ აფხაზეთის მცხოვრებთა შორის ეთნიკური ქართველი უმცირესობად აჩვენოს, რომ ქართველები წარმოდგენილი ჰყავთ არა საერთო ჯამური რიცხვით, არამედ დაქსაქსულად – სვანები, იმერლები, მეგრელები ცალკე ეროვნების ადამიანებად, თავიანთი თავი კი უმრავლესობით.“*

გამოფენა მართლაც ბევრი კუთხით იყო საინტერესო, ექსპოზიციაზე წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით, შეგვეძლო თვალი გაგვედევნებინა მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე განვითარებული პოლიტიკური პროცესებისა და შედეგებისათვის... შედეგები, ისევე როგორც პროცესები, უმძიმესია... ამ შემთხვევაში, იმ ფოტოებზე მოგახსენებთ, რომელიც ჩვენმა თანამედროვე ფოტოხელოვანმა სოხუმიდან ჩამოგვიტანა. ერთ-ერთი შედეგი – მხოლოდ ერთეულებს ეძლევათ საშუალება, ნაპირს გაღმა დარჩენილი საქართველოს ფირზე აღბეჭდონ. ასე ფარულად მოპოვებული ფოტომასალა ჩვენთვის კიდევ უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

*დასასრული მე-10 გვერდზე*









ფოტოქრონიკა

# უძველესი დროიდან დღემდე

*მეცხრე გვერდიდან*



**იური მეჩითოვი:** *„ვიმუშავე, ბუნებრივია, ფარულად, რადგანაც სოხუმის კადრების ღიად გადაღება, მით უფრო, კონფლიქტის ზონის აქეთ მყოფი ადამიანისთვის რთულია. დეკემბერი, ზამთარი, სოხუმი. ერთი ღამე, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, სოხუმის სასტუმროში. ჩემი ერთ-ერთი მასპინძელი აფხაზი იყო. გადაღებას დილიდან შევუდექი. მხოლოდ შუადღემდე ვიღებდი. როცა მასპინძელი მიხვდა, რომ საქმე გართულდა და გადაღება აღარ შეიძლებოდა, ბუნებრივია, შევწყვიტე. შემდეგ ფაცხაში წამიყვანეს, საქეიფოდ. გადავიღე ომისშემდგომი სოხუმი. აჩადარის რაიონშიც ჩავედი, სადაც ომის დროს ვიმყოფებოდი. გუმისთის ხიდიც გადავიღე, ორივე მხარე.*

*როგორი სოხუმი დამხვდა? ეს, ალბათ, ყველას აინტერესებს. ნორმალური ცხოვრება გრძელდება, შენობების ნაწილი აღდგენილია, ნაწილი – არა. ქუჩებში – ხალხი, სკოლებში – მოსწავლეები, ბაზრობებზე – მოვაჭრეები, ტელეფონები მუშაობს, გაზეთები გამოდის... ერთ აფხაზ ბიჭს გავესაუბრე, მხოლოდ რუსულად (იმის გამო, რომ მან ქართული არ იცოდა, მე – აფხაზური)... თურმე, ახალმა ხელისუფლებამ ხალხს იმედი გაუცრუა... ისეთ პირობებში, როცა იარაღია მოშვერილი, მოლაპარაკება შეუძლებლად გვეჩვენებაო. არ არსებობს ოჯახი, რომელსაც ომი უშუალოდ არ შეეხო, თან შეეხო სიკვდილით, იქ ყველა ოჯახი დაზარალებულია... როცა ორივე მხარის ტკივილის გაგებას ერთნაირად შევძლებთ, მოლაპარაკება მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გულწრფელი. ძალიან დიდი დრო გავიდა ომის შემდგომ, 16 წელი, ეს თაობათა ცვლის ხანაა. დაიბადა თაობა, რომელსაც აფხაზეთის გამო ნოსტალგია აღარ შეაწუხებს... მათ მხოლოდ გადმოცემით იციან მშობლიური მხარე. მე არ მესმის ცნება ტერიტორიული მთლიანობა მაშინ, როცა არ გვესმის რა არის სულიერი მთლიანობა. ტერიტორიული მთლიანობაც მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა სულიერი ერთიანობა იქნება. ჩვენ, პირველ რიგში, აფხაზები უნდა დავიბრუნოთ...*

*ფირზე აღვბეჭდე 2007 წლის სოხუმი, დანგრეულიც, მიტოვებულიც, აშენებულიც და უბრალოდ, პანორამები, რომელიც ასე გვიფორიაქებს სულს.“*

*„ამ ღონისძიების მიზანიც სწორედ ქართულ-აფხაზური საუკუნოვანი ურთიერთობის აღდგენაა,* – განაცხადა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დალი ხომერიკმა**, – *გვინდა, ასეთმა დღეებმა დაგვაახლოვოს. იქნებ, ჩვენ მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა მათი ინტერესი გამოიწვიოს. დღევანდელ გამოფენას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ისტორიკოსებისათვის, ისე ახალგაზრდებისათვის, ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-დოკუმენტურ მასალას მომავალი თაობები აუცილებლად უნდა იცნობდნენ. დღეს დამთვალიერებელმა ნახა აფხაზეთი სხვადასხვა ეპოქაში – მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე. გამოფენის გარდა ვაჩვენეთ დოკუმენტური ფილმი „აფსნი, სულიერების ქვეყანა“, სადაც თავად აფხაზებს აქვთ ინსცენირებული მუჰაჯირობა. ეს უდიდესი ტრაგედია აფხაზეთის ისტორიაში, რომელიც რუსეთის იმპერიის პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ. და მეორე ფილმი – „გიყვარდეს აფხაზეთი“, რომელიც ჩვენი და აფხაზი ხალხის ურთიერთობას ეძღვნება. მსგავსი გამოფენებით თუ სხვა ღონისძიებებით ახალგაზრდობას აუცილებლად უნდა გავაცნოთ ჩვენი ისტორიული ფესვები.“*

გამოფენის დასასრულს, წიგნის **„ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“** რუსული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი ქართულ ენაზე უკვე გამოსულია და როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ჯემალ გამახარიამ** გვითხრა: *„მართალია, დაგვიანებით, მაგრამ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ მაინც მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, რადგანაც „აფხაზეთის ისტორიის“ პროექტი განხორციელდა –*

*დაიწერა და გამოიცა ქართულ ენაზე. დღეს წიგნის რუსული გამოცემა წარმოვადგინეთ და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ინგლისურ ენაზეც ითარგმნება. ძალიან დიდი ხანია, რუსული მხარე თავისი გეგმების დასაბუთებას ისტორიის გაყალბების ხარჯზე ახდენს, ამიტომაც ხაზს ვუსვამ გამოცემის მნიშვნელობას, რომელიც დოკუმენტურად და ობიექტურად გადმოგვცემს აფხაზეთის ისტორიას. წიგნი შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ და დაყოფილია თავებად, რომლებიც შესაბამისი სპეციალისტების მიერ მომზადდა: ისტორია, ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ისტორიული გეოგრაფია, დემოგრაფია. ამ დარგების მონაცემთა ერთობლიობა კი ამტკიცებს, რომ ეს უძველესი ტერიტორია, უძველესი დროიდან მოყოლებული, ეთნიკურადაც და პოლიტიკურადაც, იყო და არის ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი.*

*მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ეს გამოცემა ენგურს გაღმაც შევიტანოთ, თუმცა, იმის ალბათობა, რომ წიგნს ბევრი წაიკითხავს, ნაკლებია, მაგრამ ვფიქრობ, სპეციალისტები მაინც დაინტერესდებიან.“*

გამოფენაზე, 1855 წლით დათარიღებული, პირველი აფხაზი ეთნოგრაფის, სოლომონ ზვანბაის ნაშრომით აფხაზური მითოლოგიის შესახებ შეიტყობდით, ხოლო 1870 წლის გ. ფურცელაძის ნაშრომით – საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების წარმატების შესახებ, მეფე მირიანის ნათლობამდე. თურმე, აფხაზები ჩვენთან ერთად ამაყობდნენ და იცით, რით? *„თუკი რომის იმპერია დაფუძნებულია მოციქულ პეტრეს მიერ, ჩვენ შეგვიძლია თავი მოვიწონოთ იმით, რომ ჩვენი ეკლესია დაფუძნებულია ასევე მოციქულის მიერ და რომლის? ანდრია პირველწოდებულის.“*

1903 წელს, სოხუმში, სტუმრად ჩასული ილია გადამეტებული მასპინძლობისთვის გადამეტებულ მადლობას უხდის აფხაზ ხალხს და თან გადამეტებულადვე სთხოვს მათ, თავი დაიცვან იმ მოახლოებული მტრისაგან, რომელიც „გაიძვერა და მზარავია“, ღიმილით და ალერსით ისე მოექცევათ და ისე გამოაცლით ხელიდან ამ ლამაზ, ტურფა, მდიდარ ქვეყანას, რომ პირველ ხანში, იქნებ მადლობელნიც გაუხდნენ. ეს მტერი, როგორც მაშინ ილიამ განუმარტათ, ფულია, თუმცა ვინ იცის, იყო კი ეს მტერი ფული ან რა იგულისხმა ილიამ...

*„1903 წლის 22 მაისს ილია ჩამოვიდა სოხუმში. მას ახლდა ორი თანამგზავრი: ალ. ორბელიანი და დ. ჩოლოყაშვილი. სოხუმის მოწინავე საზოგადოებამ, 24 მაისს, ძმები შერვაშიძეების ბაღში, პოეტურად ტოტებგაშლილ ბერმუხის ჩრდილქვეშ, ილიას საპატივცემლო სადილი გაუმართა. ამ აუწერელ ზეიმის დაწყებისას ილიამ განსაკუთრებულის ძალის მჭერმეტყველებით მიმართა მასპინძელს. დიდი პატივისცემა, რომელიც დღეს ჩვენ გვიძღვენით, მეტისმეტია და უნდა მიეწეროს თქვენს გულკეთილობას, რომელნიც მცირეოდენ ღვაწლსაც კი დიდად აფასებთ ხოლმე. მე ჩემის ამხანაგების მაგიერ და ჩემ თავად დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებულ პატივისცემისათვის და ღმერთსა ვთხოვ, გიხსნათ თქვენ იმ საშინელ განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავსავით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღეს აქამომდე ამ მშვენიერ აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო, დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ხედავთ ისე გულდაგულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზარავი, იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზ, ტურფა, მდიდარ ქვეყანას, რომ პირველ ხანში, იქნებ მადლობელნიც გაუხდეთ. კიდევ ვიტყვი, ღმერთმა გვიხსნას ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ქმნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი წარვიდნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შევირჩიოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და ახლობელთა საბედნიეროდ და თავმოსაწონებლად.“*

„ივერია“, 1903 წელი, 4 ივნისი.

ასეთი იყო ერთ ექსპოზიციაში და ამ ერთ წერილში ჩატეული აფხაზეთის ტკივილიანი ისტორია მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე. როგორ შეივსება ისტორიის ფურცლები შემდგომში, სამწუხაროდ, მხოლოდ სურვილებზე არ არის დამოკიდებული...

***ლალი ჯელაძე***

*იური მეჩითოვის ფოტოები*

იუბილე

# შალვა ამირანაშვილი – 110

## (1899–1975)

6 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული მუზეუმში, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენა გაიხსნა.

განუზომელია შალვა ამირანაშვილის ღვაწლი ქართული ხელოვნებათმცოდნეობისა და საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებაში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ამირანაშვილი 1928 წლიდან მოღვაწეობდა, ხოლო 1939-1975 წლებში იგი ქართული კულტურის საგანძურს ედგა სათავეში.

მეცნიერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ძეგლების რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებაში. 1945 წელს კი, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, საფრანგეთიდან ჩამოიტანა ეროვნული საგანძური.

სხვადსხვა წლებში შალვა ამირანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრას ხელმძღვანელობდა. იგი არის არა ერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია: „უბისის მოხატულობა“, „ქართული კედლის მხატვრობის ისტორია“. მნიშვნელოვანია მონოგრაფიული ნარკვევი: „ბექა ოპიზარი“. მრავალი წლის მანძილზე იგი შეისწავლიდა ქართულ მინიატურას, რასაც მიეძღვნა მისი შრომები: „ქართული მინიატურა“, „ვეფხისტყაოსნის დასურათებული მინიატურა“. ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა ნაშრომი „ქართული მინანქარი“. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონოგრაფია „ირანული დაზგური ფერწერა“. მნიშვნელოვანია მისი ფუნდამენტური ნაშრომი: „ქართული ხელოვნების ისტორია“ და სხვ.

1990 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს შალვა ამირანაშვილის სახელი მიენიჭა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ეროვნული არქივის კოლექციათა ერთობლივი გამოფენის მიზანია ღვაწლმოსილი მეცნიერის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმოჩენა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია შალვა ამირანაშვილის მიერ მოძიებული და სამშობლოში დაბრუნებული 100-მდე ექსპონატი. დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა,,იხილოს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურში დაცული XIX საუკუნის სამეფო ვერცხლის ჭურჭელი, საეკლესიო სარიტუალო დანიშნულების ნივთები და სამღვდელმთავრო ნაქარგი სამოსი, უფლისციხის არქეოლოგიური მასალა, შუა საუკუნეების სვანეთის ფრესკის ასლები და გვიანი შუასაუკუნეების ხატები, რელიეფური ქანდაკების ფრაგმენტები.

ექსპოზიციაზე, ასევე, წარმოდგენილია ახალი და თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსული ხელოვნების მხატვართა ფერწერული ნამუშევრები. საქართველოს ეროვნული არქივისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული საარქივო დოკუმენტები, პირადი წერილები და ნივთები, სამეცნიერო ნაშრომები, აუდიო ვიდეო და ფოტომასალა.



სპორტი

# მომავალი ოლიმპიელების ოლიმპიური ზეიმი

სამშაბათს, თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში, დიდი გამოცოცხლება იყო – ჩატარდა ოლიმპიელის დღისადმი მიძღვნილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება, დევიზით – „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“, რამაც მოზარდების დიდი ინტერესი გამოიწვია. ოლიმპიელთა დღეზე დირექციამ საპატიო სტუმრებად სახელოვანი ოლიმპიელებიც მიიწვია –ქალთა შორის პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, 1952 წლის ჰელსინკის თამაშების ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში **მზია ჯუღელი** და 1960 წლის რომის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში **რობერტ შავლაყაძე**; ასევე – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი **დავით კინწურაშვილი** და სეოკ-ის სოხუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ამირან ზუხბაია**.

სკოლაში ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ორ ნაწილად გაყვეს – II-VI კლასების მოსწავლეები სპორტულ შეჯიბრებებში ჩააბეს, უფროსკლასელები კი მეზობლად მდებარე თბილისის ზღვის არემარეს გაუყვენეს სალაშქროდ.

სპორტული ღონისძიებები, 9 საათზე, დილის გამამხნევებელი ვარჯიშით დაიწყო და 14 საათზე დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდა. ასპარეზობებში ის გუნდები გამოდიოდნენ, რომლებიც შარშან „მხიარულ სტარტებში“ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პრინციპიც იგივე იყო – პარალელური კლასები ერთმანეთში ავლენდნენ გამარჯვებულებს. შეჯიბრებები მძლეოსნურ კროსში, მინი-ფეხბურთში, გრეხეთბოლში, ბაგირის გადაძალვაში და სხვა სახეობებში ჩატარდა. გათამაშდა ამ სკოლის კურსდამთავრებულების, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული **დავით გოჩიაშვილისა** და **გოდერძი გვრიტიშვილის** ხსოვნის, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრ **გოგიტა გოგუას**, აგრეთვე ოლიმპიურ ჩემპიონ **გიორგი ასანიძის** სახელობის პრიზები.

შარშანდელი მხიარული სტარტების დარად, ამ შეჯიბრებამაც მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია და მოზარდები გუნდის ღირსების დასაცავად განსაკუთრებული აზარტით იბრძოდნენ. გუნდების მომზადებისა და ღონისძიების ჩატარების ორგანიზატორი ფიზკულტურის მასწავლებელი **გოდერძი შურღაია** იყო, რომელსაც სკოლის დირექცია, კლასების დამრიგებლები და ფიზკულტურის სხვა მასწავლებლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ. სპორტის თითოეულ სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები, მაგრამ კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებთ – იმ დღეს ყველა გამარჯვებული იყო.





მცირე შესვენების შემდეგ, დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც წინ კულტურული პროგრამა უძღოდა. მოგეხსენებათ, სკოლას სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები ჰყავს და კონცერტშიც სწორედ ისინი მონაწილეობდნენ. შესრულდა მხიარული სტარტების ჰიმნი. მსმენელთა წინაშე ამავე სკოლის მოსწავლეები – „საბავშვო იბერვიზიის“ მონაწილე **ილია ყარმაზანაშვილი** და საერთაშორისო ფესტივალების გამარჯვებული **მარიამ კაპანაძე** წარდგნენ. მან ორი კვირის წინ ესპანურ ლორეტ დე-მარიში გამართული ფესტივალის გრანპრი მოიპოვა, მან ასეთივე წარმატებას უკრაინულ მარიუპოლში მიაღწია, სულ მალე კი რუმინეთში შეეცდება გამარჯვებას.

ღონისძიების მონაწილეებს სტუმრებიც მიესალმნენ. რობერტ შავლაყაძემ ბავშვობა გაიხსენა, როცა მწვრთნელებმა აღმოაჩინეს და მერე ოლიმპიურ ჩემპიონად აღზარდეს. ჯუღელმა სპორტიდან გამოყოლილ სინანულზე ილაპარაკა: *„ჩვენ არ გვქონდა საშუალება, საქართველოს სახელით გვეასპარეზა. მართალია, საბჭოთა გუნდებში ქართველებად შევდიოდით, მაგრამ უცხოეთში მაინც რუსებს გვიწოდებდნენ. მჯერა, თქვენ შორის აუცილებლად იქნებიან მომავალი ოლიმპიადების, ევროპისა თუ მსოფლიო პირველობების მონაწილეები და გექნებათ ბედნიერება, უცხოეთში საქართველოს დროშით იასპარეზოთ“.* სტუმრებმა კმაყოფილება ვერ დამალეს ღონისძიების მასშტაბურობის გამო.

ამის შემდეგ დამამთავრებელი აკორდი – დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. პატარები რობერტ შავლაყაძემ დააჯილდოვა. მედალოსნებმა დიპლომები, სიგელები და საჩუქრები მიიღეს, გამარჯვებულ კლასებს კი ბურთებიც გადაეცათ. ამასთან, პატარებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საჩუქარი – ოლიმპიურ თემატიკაზე გამოცემული წიგნებიც გადაეცათ.

ამით 142-ე სკოლის ისტორიაში კიდევ ერთი გამორჩეული დღე დასრულდა, რომელმაც დიდი სიამოვნება მიანიჭა როგორც პატარებს, ასევე ღონისძიებაზე დამსწრე უფროსებს. წერილის დასრულებაც აქვე შეიძლებოდა, რომ არა ის პრობლემები, რაზეც შარშანაც ვწერდით – შეიძლება ითქვას, სკოლას სპორტული ბაზა არ გააჩნია. დარბაზში წყალი ჩადის და მდგომარეობას იოლად წარმოიდგენთ (მით უფრო, წლევანდელი ზაფხულის კოკისპირული წვიმების შემდეგ). ოლიმპიელთა დღე ღია მოედანზე გაიმართა, რომელიც მინიმალურ პირობებს აკმაყოფილებს. შეიძლება ითქვას, საქართველოში მარტივი ტიპის მოედნების მშენებლობის ბუმია და ამ სკოლისთვის ერთი ასეთი ბაზის აშენება რა გახდა! შარშან სკოლას სპორტული ბაზის კეთილმოწყობას გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებიც დაჰპირდნენ, მაგრამ ჯერ არაფერია გაკეთებული. ნუთუ მართლა არჩევნები უნდა ტარდებოდეს, სასიკეთო საქმე რომ გააკეთონ?! არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს სკოლა პერიფერიული მდებარეობის გამო რჩება ყურადღების მიღმა (თემქის შორეულ ნაწილშია, მაგრამ თბილისში ამაზე უფრო შორეული უბნებიც არსებობს და მეორეც - ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ხომ არაა პერიფერია!), მაგრამ დედაქალაქის ცენტრში ასე უყურადღებოდ მიტოვებული სკოლა ვერ წარმოგვიდგენია. ეს ნამდვილად არაა ბავშვებზე ზრუნვა. არადა, აქ მოსწავლე 1300 ბავშვი ნამდვილად იმსახურებს თუნდაც ერთ ნორმალურ მოედანს და არა ისეთს, როგორიც ახლაა მათ საკუთრებაში. იმედია, სათანადო სტრუქტურები ამ პრობლემას წლეულს მაინც მოაგვარებენ.

## აფხაზეთი წყნეთში შეიკრიბა

აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ჭიდაობის ადგილობრივ ფედერაციასთან ერთად, აფხაზეთის ღია პირველობა ჩაატარა ჭაბუკთა ორ ასაკობრივ ჯგუფში. სიმბოლურია, რომ ტურნირს აფხაზეთიდან დევნილი სახელოვანი ფალავნის, ევროპის ხუთგზისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ოლიმპიადების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ **ლუკა კურტანიძის** სახელობის დარბაზმა უმასპინძლა წყნეთში. ტურნირში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 15 გუნდი მონაწილეობდა როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან, მონაწილეთა რაოდენობამ კი 150-ს გადააჭარბა.

უმცროს ასაკობრივ, ანუ 1999-2000 წლებში დაბადებულთა ტურნირში მხოლოდ ორი წონითი კატეგორია იყო და ორივეში აფხაზეთის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს – **თამაზ შავაძემ** (26) და **გიგა მამიაურმა** (29). უფროსებში, ანუ 1997-1998 წლებში დაბადებულებში, ჩემპიონები, ასევე, აფხაზეთის წარმომადგენელი **ლაშა ზუხბაია** (26), სტეფანწმინდელი **თემურ კვირჭიშვილი** (29), ქობულეთელი **გოჩა ყიფშიძე** (32), თბილისელი **ლაშა შეთეკაური** (35), კასპელები – **გიორგი დემეტრაშვილი** (38), **ზაურ ბერიძე** (42), **ბექა ხუროშვილი** (46) და თბილისელი **თორნიკე კიკნაძე** (+46) გახდნენ.

## მათ მეტი ყურადღება სჭირდებათ

ამ დღეებში თბილისმა მეორედ უმასპინძლა მოყვარულ ჩოგბურთელთა საქველმოქმედო ტურნირს, რომელიც თბილისის 198-ე საჯარო სკოლის დახმარებას ისახავდა მიზნად. ეს სკოლა იმითაა გამორჩეული, რომ იქ 149 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ანუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სწავლობს. ქველმოქმედთა მიზანიც მათი დახმარებაა.

ტურნირში მონაწილეობა ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციას შეეძლო როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა ან, თუნდაც, შერეული პრინციპით დაკომპლექტებული გუნდებით. განსაზღვრული არც ასაკი ყოფილა და თამაში ყველა მოყვარულ ჩოგბურთელს შეეძლო. ქვეყნის პირველი ლედის – **სანდრა რულოვსის** პატრონაჟით ჩატარებულ ტურნირში 8 გუნდი გამოდიოდა, თუმცა საქველმოქმედო ფონდში თანხა ზოგიერთმა ისეთმა ორგანიზაციამაც შეიტანა, რომელიც არ თამაშობდა, მაგალითად – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. გადაწყდა, რომ შეგროვებული თანხით სკოლას სპორტული ინვენტარით დაეხმარებიან, თუმცა, სკოლის დირექციამ წიგნების საჭიროებაზე გაამახვილა ყურადღება და, ალბათ, ინვენტართან ერთად ამ კუთხითაც დაეხმარებიან.

ვფიქრობთ, ასეთი ინიციატივა განსაკუთრებულად ფასეულია, რადგან, რაოდენ მწარეც უნდა იყოს ამის აღიარება, ჩვენს საზოგადოებაში ქველმოქმედების კულტურა ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. არც ისაა დასამალი, რომ ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთათვის საზოგადოებაში ინტეგრაცია, ლამის, შეუძლებელია. სხვათა შორის, ამ სკოლის ანალოგიური კატეგორიის მოზარდებსაც სურთ მხიარულ სტარტებში ან მსგავს გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობა, მაგრამ მათთვის მსგავსი არაფერი არსებობს. ვფიქრობ, სახელმწიფო სტრუქტურებმა ამაზეც უნდა იზრუნონ.

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

## საპატიო თასით დედოფლისწყაროელი პედაგოგები დაჯილდოვდნენ

ქალაქ თელავში გაიმართა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2009 წლის მასწავლებელთა კახეთის რეგიონული სპარტაკიადა, რომელშიც კახეთის მხარის რვავე რაიონის პედაგოგთა ნაკრებები იღებდნენ მონაწილეობას. შეჯიბრი სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართა. დედოფლისწყაროს რაიონის პედაგოგებმა ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს მოწინააღმდეგეებს და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საპატიო თასით დაჯილდოვდნენ.

საპატიო თასის გარდა პედაგოგთა ნაკრები გუნდის ყველა წევრი დაჯილდოვდა სპარტაკიადის დიპლომებით. დედოფლისწყაროელი ნაკრების წევრები: **ზურაბ ჩალაბაშვილი, ლალი იაკობიშვილი** (დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა), **დალი ბენაშვილი** (დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა), **აკაკი მაჩაბლიშვილი** (წითელწყაროს საჯარო სკოლა), **ნოდარ სულაშვილი, ავთანდილ არაბული, შამილ წიკლაური, მაია პოპიაშვილი, ლალი ფიროსმანაშვილი** (გამარჯვების საჯარო სკოლა) მიწვეულნი არიან რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, რომელიც თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

გუნდს ხელმძღვანელობდა სპმთპ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **მაყვალა მაძღარაშვილი.**

დედოფლისწყაროელ პედაგოგებს ვუსურვებთ ღირსეულ წარმატებებს რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე.

***მარიკა პოპიაშვილი***

მშობელთა კრება

# ვიმეგობროთ?



**სახლში გყავთ ძაღლი. ყველას ძალიან გიყვართ და პატარა ბავშვივით უვლით. მაგრამ მალე ოჯახში ჩნდება ბავშვი. როგორ უნდა მოიქცეთ? რა თქმა უნდა, ძაღლი ყველაზე უკეთ მიაჩვევს თქვენს პატარას პასუხისმგებლობას, სიკეთეს, ზრუნვასა და გულისხმიერებას. ხომ არ იეჭვიანებს ძაღლი? როგორ უნდა მოიქცეთ, ეს რომ აირიდოთ?**

## დაბადებამდე

ვიდრე სახლში ახალშობილს მოიყვანდეთ, თქვენი პატარა მეგობარი ამისთვის უნდა შეამზადოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ძაღლი ოჯახს ისე აღიქვამს, როგორც ჯოგს. ჯოგში კი ყველაფერი გარკვეულ წესს ემორჩილება – რაც უფრო მაღალი საფეხური უკავია ცხოველს, მით უფრო მეტი პრივილეგია ენიჭება. ძაღლი ადამიანთა „ჯოგში“ ყველაზე დაბალ საფეხურზე უნდა იყოს.

მაგალითად, თუ თქვენს ძაღლს ტახტზე ნებივრობა უყვარს. სასწრაფოდ გადააჩვიეთ. ზოოფსიქოლოგის აზრით, ძაღლი, რომელიც პატრონის საწოლზე წვება, იერარქიულ სისტემაში მაღალ საფეხურს იკავებს, ამიტომ, როცა პატარას ჩაიწვენთ საწოლში, ამას მისი სტატუსისადმი უპატივცემულობაში ჩათვლის და ბავშვის მიმართ აგრესიას გამოამჟღავნებს.

ასევე უნდა შეაჩვიოთ აზრს, რომ მთელ დროს მას ველარ დაუთმობთ. ძალიან მნიშვნელოვანია, ეს საკითხი წინასწარ მოგვარდეს და არ იყოს დაკავშირებული სახლში ახალი წევრის გამოჩენასთან. კარგი იქნება, სახლში ბავშვის გამოჩენამდე ერთი თვით ადრე მაინც, თუ აღარ მისცემთ ერთ-ერთ საყვარელ ნუგბარს და მხოლოდ ბავშვის მოყვანის დღეს გაუმასპინძლდებით. ამგვარად, თქვენი ოთხფეხა მეგობარი შემოუერთდება თქვენს სახლში პატარა წევრის შემატების სიხარულს.

## სახლში ჩვილია

ბავშვის მოვლის დროს ძაღლს იზოლაციაში ნუ მოაქცევთ. პატარას დაბანის დროს ან საფენების გამოცვლისას, პარალელურად, ძაღლს ესაუბრეთ. ისიც ერთგვარი მონაწილე გახდება ამ პროცესის. მაგრამ არ მისცეთ ბავშვის სათამაშოებით თამაშის უფლება. ნებისმიერი ნორმალური ძაღლი მშვიდად აღიქვამს ოჯახში („ჯოგში“) ახალი წევრის მატებას და როგორც გონიერ არსებას, მშვენივრად ესმის ბავშვსა და ზრდასრულ ადამიანს შორის განსხვავება. „ჯოგის ბელადის“ (პატრონის) უფლებაა დანარჩენი წევრების სტატუსის განსაზღვრა. ამიტომ, თუ ძაღლთან სწორად გაქვთ აწყობილი ურთიერთობა და იერარქიის ყაველაზე დაბალ საფეხურზე გრძნობს თავს, სავსებით მშვიდად შეეგუება იმ პრივილეგიებს, რომელსაც პატარას მიანიჭებთ, ანგარიშსაც კი გაუწევს მას. ერთ-ერთი ასეთი პრივილეგია ბინაში თავისუფალი გადაადგილებაა, ანუ, როცა ბავშვი ხოხვას დაიწყებს, ძაღლი მორჩილად დაუთმობს ხოლმე მას გზას. თუ შეამჩნიეთ, რომ მის კუთხესთან ბავშვის მიახლოებისას ძაღლი ირინდება ან ჩუმ-ჩუმად იღრინება, კიდევ ერთხელ დაფიქრდით და კარგად გააანალიზეთ, სწორია თუ არა თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ.

თუ ძაღლი ბავშვის მიმართ აგრესიას იჩენს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ უყვარს. აგრესია – დისციპლინარული საშუალებაა. ჯოგში სწორედ ასე აფრთხილებენ ლეკვებს, როცა რაღაცას უკრძალავენ. ამიტომ, თუ ძაღლი ბავშვს უღრენს, ე.ი. თქვენ მიანიჭეთ მას ამის უფლება. ამ შემთხვევაში, თუ მიხვალთ და ცხვირზე წამოარტყამთ, ამით ვერაფერს მიაღწევთ. ძაღლი ვერ მიხვდება რატომ უწყრებით, მისი აზრით, ხომ, ყველაფერს სწორად აკეთებს და შემდეგ ჯერზე ღრენას აღარ დასჯერდება ბავშვის მიმართ უფრო მკაცრ ზომას მიმართავს. გამოსავალი ერთადერთია – სასწრაფოდ ჩამოაქვეითეთ მისი სტატუსი.

## მოთმინება და ისევ მოთმინება

პატარამ, თამაშის დროს, შეიძლება ძაღლს კუდზე ან ყურზე მოქაჩოს, ან მაგრად მოეხვიოს. თქვენი ამოცანაა – ისე გამოზარდოთ თქვენი ოთხფეხა მეგობარი, რომ ამგვარი მანიპულაციების მოსათმენად იყოს მზად. როგორ უნდა მიაღწიოთ ამას? ყველა ძაღლს უნდა, რომ მოეფერონ, აჭამონ და ეთამაშონ. აი, სწორედ ამით წაახალისეთ ხოლმე, როცა მოთმინებას გამოიჩენს. ყურზე მოქაჩეს – მოეფერეთ, კუდზე დააბიჯეს ფეხი – გაუმასპინლდით რაიმე გემრიელით. მთავარია, ჯილდომ არ დაიგვიანოს და თანდათანობით გაზარდოთ „წვალების“ დრო და სიძლიერე. ასეთი ვარჯიშების შედეგად ნებისმიერ გაუფრთხილებელ შეხებას ძაღლი აღიქვამს, როგორც რაღაც მოსალოდნელი სიამოვნების პრელუდიას.

## ვსწავლობთ ერთმანეთის გაგებას

როდესაც თქვენს პატარას 3,5-4 წელი შეუსრულდება, ძაღლის მოვლას შეაჩვიეთ. თქვენთან ერთად აჭამოს, დავარცხნოს და აბანაოს. გახსოვდეთ, არასოდეს დატოვოთ ბავშვი ძაღლთან მარტო, რაც არ უნდა უწყინარი და ალერსიანი იყოს თქვენი ოთხფეხა მეგობარი. ჭამის დროს, თუ ბავშვი მის გვერდით აღმოჩნდა, ძაღლმა შეიძლება შეუღრინოს. ამისთვის არ დასაჯოთ! ბუნებაში თვითდამკვიდრების ინსტინქტი სუსტ არსებებსაც კი აიძულებთ საკუთარი საკვების უფრო ძლიერებისგან დაცვას. მოგვიანებით, ბოდიშის მოხდით, სუსტი არსება მორჩილებასა და პატივისცემას გამოხატავს ძლიერის მიმართ.

იმისთვის, რომ ჭამის დროს ძაღლმა ბავშვს არ შეუღრინოს, გააკეთეთ შემდეგი: ჩვეული ულუფა დაყავით რამდენიმე ნაწილად. სადილის დრო რომ მოვა, ბავშვმა ცარიელი თასი გაუწოდოსბ ძაღლი ცხვირს რომ ჩაყოფს, ნახავს, შიგ არაფერია, შესაბამისად, არც დასაცავი ექნება რაიმე. მაშინ ბავშვმა აიღოს თასი და ჩადოს საკვები, მერე – კიდევ დაუმატოს და ა.შ. ძაღლი უნდა მიეჩვიოს აზრს, რომ ბავშვი თასს იმისთვის კი არ უახლოვდება, რომ საკვები წაართვას, პირიქით – მისცეს. ამგვარად, აღარ ღელავს და, შესაბამისად, აღარც იღრინება.

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

C M Y K